


კავკასიის ხალხთა ფოლკლორი
ФОЛЬКЛОР НАРОДОВ КАВКАЗА

ჩეჩენური ფოლკლორი



ЧЕЧЕНСКИЙ ФОЛЬКЛОР

„კავკასიური სახლი“



„КАВКАЗСКИЙ ДОМ“

თბილისი * Тбилиси

2002

УДК 398 (=946.121)
534

შემდგენლები **ჯონდო ბარდაველიძე**

და

როსტომ ფარეულიძე

მთავარი რედაქტორი ნაირა გელაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი თამარ უჯუხუ

**პწკარედული თარგმანი ჩეჩნურიდან როსტომ ფარეულიძისა
და იუშა აიდაევის;**

**ფილოლოგიური თარგმანი ქართულად ნაირა გელაშვილის,
როსტომ ფარეულიძისა და ზეზვა მედულაშვილის; რუსულად:
პოეზიისა – გინა კუსრაევა-ჭელიძის,
პროზის – მაია გაიდაროვასი**

მეორე გამოცემა

Составители

ДЖОНДО БАРДАВЕЛИДЗЕ

и

РОСТОМ ПАРЕУЛИДЗЕ

Главный редактор НАИРА ГЕЛАШВИЛИ

Ответственный секретарь ТАМАРА УДЖУХУ

Второе издание

**Подстрочный перевод с чеченского Ростома Пареулидзе
и Юши Айдаева;**

**филологический перевод на грузинский Наირы Гелашвили,
Ростома Пареулидзе и Зезвы Медулашвили; на русский:
поэзии – Гины Кусраевой-Челидзе, прозы – Майи Гайдаровой.**

ISBN 99928-71-18-0

წინათქმა მეორე გამოცემისთვის

„ჩენური ფოლკლორი“ პირველად 1996 წელს რუსეთ-ჩეჩნეთის I ომის დროს გამოვეცით. ამ მოკრძალებული ნაშრომით გვსურდა გამოგვეხატა ჩვენი თანაგრძნობა ჩეჩენი ხალხისადმი, აგრეთვე პროტესტი იმ ენით აღუწერელი ბარბაროსობის წინააღმდეგ, რომელმაც ესოდენ მცირერიცხოვანი, მუდამ ბედისწერით ნატანჯ-ნაგვემი ხალხის ასი ათასზე მეტი შვილი შეიწირა და ურიცხვი დაასახინრა.

როგორ წარმოვიდგენდით, რომ ჩეჩენი ხალხის ეს ორწლიანი გენოციდი, რომელსაც მაშინ „კონსტიტუციური წესრიგის დამყარება“ ერქვა, სულ მალე, კერძოდ, 2000 წელს თავიდან დაიწყებოდა და კიდევ უფრო ჯოჯოხეთურ სახეს მიიღებდა, ამჯერად უკვე „ანტიტერორისტული ოპერაციის“ სახელით!

მესამე წელია გრძელდება რუსეთ-ჩეჩნეთის II ომი, რომელიც სისხლიან ხილად გადაეთალა XX და XXI საუკუნეებს, II და III ათასწლეულებს, ძველსა და ახალს, და დასვა ბედისწერული შეკითხვა: საით მიდის კაცობრიობა, რა მოელის რუსეთს, რა მოგველის ჩვენ ყველას – ვინც დაუშვით ეს უპრეცედენტო დანაშაული კაცობრიობის წინაშე?

ცხადია, ამ კითხვის დასმას აზრი აქვს, თუკი დღევანდელ კაცობრიობას საბოლოოდ არ უთქვამს უარი იმ რწმენაზე, რომლის თანახმადაც სამყაროს არსებობის საფუძველი უზენაესი ზნეობრივი პრინციპია, რომლისკენაც უნდა ისწრაფოდეს ადამიანური ცხოვრების წესი, თუკი გვინდა, რომ ადამიანის სახე შევინარჩუნოთ და ოდნავ მაინც მივეუახლოვდეთ იმ მშვიდობიან, კარმონიულ ყოფიერებას, რომლის პოტენციალსაც კაცობრიობაში პრინციპულად არსებობს. ამ სწრაფვის გარეშე კი, ყველა „სამშვიდობო“

დონისძიება და ამ სახის პროფილაქტიკური საშუალებანი უნაყოფო იქნება. მაგრამ ამ უზენაესი ზნეობრივი პრინციპის შეუნიღბავ უარყოფაზე უარესი ის ფარისევლობა და თვალთმაქცობა, ის დემაგოგიაა, რომელიც წარბშეუხრელად უწოდებს ბოროტებას სიკეთეს, უზნეობას – ზნეობას, და ასე ამკვიდრებს მასობრივ შიზოფრენიას, რაც მდგომარეობს ზნეობრივი საზომების სრულ აღრევასა და სინამდვილის აღქმის ერთიან არაადეკვატურობაში: როცა სულ უფრო მეტი ადამიანი იწყებს მტკიცებას, რომ თეთრი შავია, ამ შემთხვევაში: თითქოს რუსეთი მართლა ტერორისტებს ებრძვის ხელისგულისხელა ჩეჩნეთში და ამიტომ ამოწვევითა ჩეჩენი ხალხის ლამის მესამედი, დაასახიჩრა ორჯერ უფრო მეტი, დააავადა მთელი ხალხი და გაანადგურა ამ უმშვენიერესი ქვეყნის მთელი სასიცოცხლო სივრცე, გახადა იგი საცხოვრებლად უვარგისი როგორც ადამიანთათვის, ისე ფრინველებისა და ცხოველებთათვის. და ეპოქალური პრობლემა, უმთავრესი პრობლემა სწორედ ისაა, რომ ამ მასობრივი შიზოფრენის ნიშნებს ვხედავთ არა მხოლოდ რუსეთში, არამედ სხვა ქვეყნებშიც, მათ შორის ნაწილობრივ საქართველოშიც, მაგრამ რაც განსაკუთრებით სავალალოა, ვხედავთ დემოკრატიულ დასავლეთშიც, რომლის მასმედიის არსებითი ნაწილი თუთიყუშივით იმეორებს ოფიციალური რუსეთის ინფორმაციულ სტერეოტიპებს.

რუსეთ-ჩეჩნეთის ომმა განსაკუთრებულად გამოააშკარავა თანამედროვე კაცობრიობის მორალური კრიზისის მასშტაბები, საყოველთაო ემოციური სიკვდილის ნიშნები: როცა შებრალება, შეცოდება, გულმოწყალება სუსტის, ტანჯულის, განწირულის მიმართ იმდენად სუსტდება, რომ უკვე საქმე გვაქვს ადამიანთა ტოტალურ ზომბირებასთან, ზომბ-საზოგადოებასთან, ზომბ-ხალხთან და საბოლოოდ, კაცობრიობა-მონსტრთან.

აბა, მითხარით, თუ არა ეს ნიშნები, სხვა რითი უნდა აიხსნას ეს უსასრულო ძალმომრეობა, ეს გაუთავებელი სახელმწიფოებრივი სადიზმი ერთი მუჭა, ყველასაგან მიტოვებული ხალხის მიმართ? ხალხისა, რომელმაც შეძლო და, მიუხედავად სასტიკი

ბედისწერისა, უძველესი დროიდან დღემდე მოიტანა თავისი ეროვნული თვითმყოფადობა, ტრადიცია და ენა?! ნუთუ მხოლოდ იმით, რომ ამ ხალხში, ისევე როგორც ნებისმიერ სხვაში, არსებობენ კრიმინალური ელემენტები, ტერორისტები იქნება თუ ჩვეულებრივი ბანდიტები?!

ამ უბადლო უსამართლობამ ჩეჩენი ხალხის მიმართ, რაც არცთუ უკანასკნელ რიგში შესაძლებელი გახდა მასზე დასაუფლების არაადეკვატური და არათანმიმდევრული ზნეობრივი რეაგირების შედეგად, – უნებურად გასცა სანქცია ნებისმიერ ძალმომრეობასა და აღვირაზსნილობაზე მთელს მსოფლიოში. და, რაც მთავარია, გასცა განსაკუთრებული სანქცია დემაგოგიაზე: პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური და ა. შ. მიზნებით წარმოებულ ომს, მთელი ხალხის ისეთ დასჯას, როგორც სტალინსაც კი არ მოსვლია აზრად, უწოდო: „ანტიტერორისტული ოპერაცია“, რადგან, როგორც ცნობილია, ჩვენ, ადამიანები, ისეთ განზომილებაში ვცხოვრობთ, რომელშიც იმპულსები და აზრები ვირუსებივით თავისუფლად ვრცელდება.

და ამიტომ აღარავითარი მასშტაბური ძალადობა, სიძულვილისა და აგრესიის ახალი, დღემდე უცნობი ტალღები აღარ უნდა გაგვიკვირდეს რუსეთ-ჩეჩნეთის ომის შემდეგ. ჩვენ ამ კონტექსტში ვხედავთ 11 სექტემბერს ამერიკის თავს დატეხილ უბედურებასაც: სიგიჟისა და სისასტიკის ვაკხანალიას თანმიმდევრულ, იდეურ ტერორისტთა მხრიდან. ოთხი ათასზე მეტმა უდანაშაულო მსხვერპლმა ამერიკას მისცა დავალება და უფლება: დაეწყო ომი მთელი ავღანეთის წინააღმდეგ. რამდენიმე ასეულ ათასზე მეტი ჩეჩენი ქალის, ბავშვის, მოზარდის, მოხუცის სიკვდილმა, საფილტრაციო ბანაკებმა, ურიცხვმა ნაწამებმა, ღირსებააყრილმა, ფეხით გათელილმა სიცოცხლემ კი ისიც ვერ დაიმსახურა, რომ ამ ჯოჯოხეთს მოსცილდეს სახელი: „ანტიტერორისტული ოპერაცია“. ნუთუ კავკასიელები ადამიანებად არ განვიხილებით დემოკრატიული მსოფლიოს მიერ?

გერმანელმა მოაზროვნემ თეოდორ ადორნომ სთქვა: „ხირო-

სიმასა და ნაგასაკის შემდეგ ლირიკული ლექსის დაწერა აღარ შეიძლებაო“. ამით ახალი ეპოქის დადგომა აღინიშნა, დასაბამი ეპოქისა, რომელმაც მოიტანა ბოროტების მანამდე უცნობი მასშტაბები, ძალმომრეობის არგაგონილად გაზრდილი შესაძლებლობები, ანუ მასობრივი განადგურების საშუალებათა გაჩენა. ეს კი ნიშნავდა, რომ ანაქრონიზმად იქცა ტრადიციული პოეზია, ლირიკა და არა მხოლოდ იმ აზრით, რომ ურიცხვი ადამიანის კოშმარულად ამოწყვეტის შემდეგ უხერხული გახდა ლირიკული მე-ს პირადული სატიკერის გართმევა, ან, ვთქვათ, აღტაცება ბუნების სილამაზით, როცა ეს ბუნება ერთიანად მოწამლულია მომაკვდინებელი ქიმიური ნივთიერებებით და სხვ., არამედ იმ აზრითაც, რომ მოხდა ერთიანი ლინგვისტური სიკვდილი: ენის დამბლა, როცა ენა ვეღარ გამოხატავს მომხდარის სპეციფიკას, რადგან აქამდე საუკუნეთა მანძილზე მისი მაქსიმალურად ემოციური სიტყვები გაცილებით უფრო ნაკლები მასშტაბის საშინელებათა მიმართ გამოიყენებოდა: ტრადიციული ენისა და ლირიკის „საშინელება“, „ტანჯვა“, „უბედურება“, „ტკივილი“ – თითქოს მართლაც მოძველდა, თითქოს სიზუსტეს და ინფორმაციულობას ვეღარ უზრუნველყოფს: როცა ლაპარაკია ზაქსენჰაუზენსა თუ ბუხენვალდზე, საბჭოთა დამსჯელ ჯურღმულებზე, ხიროსიმაზე, ნაგასაკზე და აი, – ენის უმწეობა უკიდურესობამდე გაზარდა: „გროზნომ“, „სამაშკიმ“, „კომსომოლსკომ“, „ჩენეთმა“ – ეს სახელები უკვე სიბოლოებად იქცნენ, იქცნენ იმ სინამდვილის ძეგლებად, რომელშიც ენა უკიდევანო საშინელებამ დააბერა, დააძაბუნა და მან აპოკალიფსური დუმილისკენ აიღო გეზი.

ამას ჩემს სულში ვგრძნობ. ჩეჩნეთის ომმა ჩემში ენა მოკლა, ენა წამართვა: აღარ ვიცი, საიდან დავიწყო, როგორ რა ვთქვა, ამ სიცრუის, უსამართლობის, ბოროტების ოკეანეში, თავზე რომ ჩამოგვექცა. და ეს მდგომარეობა სიზმარში ყვირილსა ჰგავს: როცა კივილი მთელ სხეულს გიგლეჯს, მაგრამ ხმა არ ამოგდის.

და როგორ უნდა იყვნენ თავად ჩეჩნები? – კივილი სიზმარში – თვალწინ მიდგას მრავალი ჩეჩენი ბავშვის და ქალის შუშასავ-

ით შზერა და ქვასავით დუმილი: ემოციური სიკვდილი, ენის სიკვდილი, იმედის სიკვდილი...

„ჩეჩნური ფოლკლორის“ I გამოცემის შესავალში ვწერდი: მშვიდობიან დროს ძველი ჩეჩნური ზეპირსიტყვიერების მხატვრულ მხარეზე, მის პოეტურ თავისებურებაზე ვილაპარაკებდი, ახლა კი ომზე ვლაპარაკობ, რადგან ომია და ხალხი წყდება-მეთქი. ვიხსენებდი უძველეს ჩრდილო კავკასიურ ხალხს – უბიხებსაც, რომელთა ენა უკვე მკვდარ ენათა ოჯახში ჩაეწერა არცთუ ისე დიდი ხნის წინ – XIX საუკუნეში, როცა ეს ხალხი რუსეთ-კავკასიის ომში ამოწყდა, მისი ნაწილი კი თურქეთში გადასახლდა და იქ ნელ-ნელა გაქრა.

ახლაც – „ჩეჩნური ფოლკლორის“ II გამოცემის შესავალშიც ისევ ომზე ვლაპარაკობ, II ომზე და ჩემი მეგობრებისა და თანამშრომლების სახელით ისევ ვეუბნები ჩეჩენ ხალხს: – თავს ვიხრით თქვენი ტანჯვის წინაშე.

ძალა კი ისევ ჩვენში უნდა ვეძიოთ, ჩვენს სულში, ჩვენს ღირსეულ ტრადიციებში, იმ სულიერ მემკვიდრეობაში, რაც წინაპრებმა გადმოგვცეს, ჩვენს შეურყეველ რწმენაში უზენაესი ზნეობრივი არსების მიმართ, მისი სამართლის მიმართ, რათა განვეითარდეთ, განათლებას ვეზიაროთ და დღეს იქნება თუ ხვალ, დავამკვიდროთ სამართლიანი, ჰუმანური, ნათელი ცხოვრება კავკასიის ტანჯულ მიწაზე. არც სხვა გზა არსებობს, არც სხვა ძალა, გარდა იმისა, რაც ჩვენშია.

არსებობს რელიგიური ცნება: „ღვთის ხალხი“. დღეს ეს „ხალხი“ რომელიმე ერთი ეთნოსი როდია: „ღვთის ხალხი“ გაფანტულია მთელს კაცობრიობაში: იგი იმ ადამიანებისაგან, იმ „ღვთის შვილებისაგან“ შედგება, რომელთა გულიც ღიაა ყველას ტკივილისათვის. ღვთის ბავშვები არიან ისინი, რომელთაც გულმოწყალება არ დაუკარგავთ, რომელთაც თავგზას ვერ აუბნევს ვერანაირი დემაგოგია; ვერანაირი თანამედროვე პოლიტიკური ტერმინოლოგია და არაადამიანური სოფისტიკა ვერ აიძულებს დაეთანხმონ: ძალადობას, ქურდობას, უსირცხვილობასა და უაზრობას... ვერ-

ავინ შეგვიშლის ხელს ვეკუთვნოდეთ „ღვთის ხალხს“, ყველა ერის წარმომადგენელთაგან რომ შედგება, რომლებიც – გაფანტულნი მთელს დედამიწაზე – ერთად არიან, თუმცა, ერთმანეთს არც კი იცნობენ. ეს არის მთავარი ხალხი. და მთავარი ეს არის: ვეკუთვნოდეთ ამ ხალხს.

ძვირფასო ჩეჩენო დებო და ძმებო, შეილებო, დედებო და მამებო, მიიღეთ ჩვენი მოკრძალებული საჩუქრები: „ჩეჩნური ფოლკლორი“ (ქართულად და რუსულად), მეცნიერული წიგნი „ვაინახები“ (რუსულად და ინგლისურად) და საბავშვო წიგნი „მზე დედაა ჩემი“ (ჩეჩნურად, ქართულად და რუსულად). ამ წიგნებში თქვენი ლამაზი სულია აღბეჭდილი, რომელიც სჭირდება კაცობრიობას და რომელსაც სიკვდილი არ უწერია.

ნაირა გელაშვილი

მარტი, 2002 წელი

მოკლე ცნობები ჩიჩნეთისა და ჩიჩნების შესახებ

ჩიჩნები და მათი ყველაზე ახლო მონათესავე ხალხი – ინგუშები კავკასიის უძველეს ავტოქტონურ მოსახლეობას მიეკუთვნებიან. 1989 წლის აღწერით, როდესაც ჩიჩნეთი და ინგუშეთი ერთიან ავტონომიურ რესპუბლიკას წარმოადგენდა, აქ ცხოვრობდა 1270 ათასი ადამიანი; მათგან 735 ათასი ჩიჩენი და 164 ათასი ინგუში. მთლიანად კი საბჭოთა კავშირში იმხანად იყო 957 ათასი ჩიჩენი და 237 ათასი ინგუში. გარდა ამისა, რამდენიმე ათეული ათასი ჩიჩენი ცხოვრობს მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში – თურქეთში, იორდანიაში, ერაყსა და სხვა.

ჩიჩნებსა და ინგუშებს, ფაქტობრივად, ერთი სალაპარაკო ენა აქვთ (დიალექტური განსხვავებით), რომელიც განეკუთვნება იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ნახურ ჯგუფს. XX საუკუნის 20-იანი წლებიდან ჩამოყალიბდა ორი – ჩიჩნური და ინგუშური – ლიტერატურული ენა, რომელთა გაერთიანების ყველა ცდა ჯერჯერობით უშედეგო აღმოჩნდა.

ეთნონიმები ჩიჩენი და ინგუში რუსეთის მიერ კავკასიაში წარმოებული დაპყრობითი ომების დროიდან გავრცეელდა. ჩიჩენტა თვითსახელწოდება კი არის ნოხჩო, ხოლო ინგუშებისა – დალა. არსებობს აგრეთვე მეცნიერული გზით დამკვიდრებული ტერმინი – ვაინახ (ე. ი. „ჩვენებური ხალხი“), რომელიც გულისხმობს როგორც ჩიჩნებს, ასევე ინგუშებს.

უძველესი ცნობები ჩიჩნურ-ინგუშური (ვაინახური) ტომების შესახებ ანტიკურ ხანასა და ადრეულ შუა საუკუნეებს განეკუთვნება. ძველ ბერძნულ, სომხურ, ქართულ და აღმოსავლურ წყაროებში ისინი მოიხსენიებიან სხვადასხვა სახელწოდებით: გარგარები, კავკასიანები, ნახჩამატეანქები, დურძუკები, ქუსტები (ქისტები) და სხვ.

ეს ტომები ცხოვრობდნენ ძირითადად ჩეჩნეთ-ინგუშეთის მთასა და მთისწინა რაიონებში, თუმცა მომთაბარე ხალხების (სკკითების, სარმატების, ჰუნების, მონღოლების) შემოსევების დროს ტოვებდნენ ბარის ზონას და მთას აფარებდნენ თავს.

მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ ჩეჩნურ-ინგუშურ ტომებს საქართველოსთან. „ქართლის ცხოვრების“ ცნობით, ქართლის პირველ მეფეს ფარნავაზს, დურძუკი ქალი ჰყავდა ცოლად. განსაკუთრებით ინტენსიური ზღემა ქართულ-ვაინახური კონტაქტები XII-XIII საუკუნის დასაწყისში, როდესაც ჩეჩნეთ-ინგუშეთის ტერიტორიაზე საქართველოდან ვრცელდება ქრისტიანობა, შენდება ეკლესიები, ვაინახთა სამხედრო რაზმები მონაწილეობენ საქართველოს ომებში და ა. შ. მაგრამ, გარკვეულ მიზეზთა გამო, ქრისტიანობამ ჩეჩნეთ-ინგუშეთის ტერიტორიაზე ღრმა ფესვები ვერ გაიდგა. წამყვანი ადგილი კვლავ წარმართულ რწმენა-წარმოდგენებს ეჭირათ. XVI საუკუნის ბოლოდან კი ვაინახებში ვრცელდება ისლამი, რომელიც XIX საუკუნისათვის გაბატონებულ რელიგიად იქცა.

XVI საუკუნიდან ჩეჩნურ ტომებში იწყება ფეოდალური ურთიერთობების ჩასახვა, მაგრამ მთის პირობებში ეს პროცესი შეფერხებით მიმდინარეობდა. კვლავ დიდ როლს თამაშობდნენ პირველყოფილი თემური წყობილების ინსტიტუტები. მოსახლეობა იყოფა ცალკეულ გვარებად (თეიფებად), რომლებიც თემებში ერთიანდებოდნენ. მოსახლეობის ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა მიწათმოქმედება და მეცხოველეობა. ხელოსნობა შედარებით ნაკლებად იყო განვითარებული. სწორედ ამ პერიოდს განეკუთვნება მთიანი რეგიონის რამდენიმე სართულიანი შთამბეჭდავი ციხე-კოშკები.

XVI საუკუნეში თანამედროვე ჩეჩნეთის ჩრდილო ნაწილში ჩნდება პირველი რუსული დასახლებები — კაზაკთა დაბები და სახელმწიფო ციხესიმაგრეები. იმხანად ჩეჩნებსა და რუსებს შორის კეთილმეზობლური, სავაჭო-სამეურნეო ურთიერთობები არსებობდა. ჩნდება ნათესაური კავშირებიც, ბევრი მთიელი იწყებს რუსულ ციხესიმაგრეებში სამსახურს, სახლდება მათ ირგვლივ.

რუსულ-ჩეჩნური ურთიერთობების გაუარესება იწყება XVIII საუკუნის 70-იანი წლებიდან, როდესაც რუსეთის იმპერია, განიმტკიცა რა პოზიციები წინაკავკასიის ველებში, შეუდგა გეგმაზომიერ

სამხედრო მოქმედებებს თავისუფალი მთიელი ხალხების დასამორჩილებლად. შედეგად იწყება მთიელ ხალხთა თავდაცვითი ბრძოლა, რაც გადაიზარდა მრავალწლიან ე. წ. კავკასიის ომში. ამ ომის მთავარი მონაწილენი მთიელთა მხრიდან იყვნენ ჩეჩნები, დასავლეთ დაღესტნის მოსახლეობა და ადიღურ-აფხაზური ჯგუფის ხალხები.

კავკასიის ომის დასაწყისად სხვადასხვა თარიღს მიიჩნევენ, ძირითადად XIX საუკუნის პირველი მეოთხედის ფარგლებში, მაგრამ, ჩვენი აზრით, ასეთად უნდა ჩაითვალოს 1785 წელი, როდესაც ჩეჩნეთში იფეთქა მძლავრმა ანტიკოლონიურმა მოძრაობამ შეიხ მანსურის წინამძღოლობით.

მანსურმა პირველმა მოახერხა თავისუფლებისათვის ბრძოლის ლოზუნგით სხვადასხვა მთიელი ტომების გაერთინება და სერიოზული მარცხი მიაყენა რუსეთის ჯარებს. მართალია, 1791 წელს რუსებმა შეძლეს მანსურის დატყვევება, მაგრამ ჩეჩნეთა წინააღმდეგობა არ შეწყვეტილა. უკვე XIX საუკუნის დასაწყისისათვის ჩეჩნებს გაუვარდათ განსაკუთრებით მეომარი და იმპერიისათვის საშიში ხალხის სახელი. კავკასიაში რუსეთის ჯარების მთავარსარდალი გენერალი ერმოლოვი ჩეჩნებს „ყველაზე საშიშ ავაზაკებს“ უწოდებდა და ასეთ ბრძანებებს იძლეოდა: რაც შეიძლება „ხშირად შეაწუხეთ ჩეჩნები... შეიპყროთ ადამიანები, საქონელი, ცხენები, გადაუწვიეთ ყანები, თივა. ერთი სიტყვით, მიაყენეთ რაც შეიძლება მეტი ზიანი“. ეს ბრძანებები ზედმიწევნით სრულდებოდა.

მაგრამ დამპყრობელთა სისასტიკე უფრო აძლიერებდა ჩეჩნთა წინააღმდეგობას. 1820-იან წლებში ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში ახალი გამაერთიანებელი მოძრაობა იწყება, რომლის შედეგადაც დაღესტნისა და ჩეჩნეთის მთებში ჩამოყალიბდა თეოკრატიული სახელმწიფო. 1834 წლიდან მას სათავეში უდგება შამილი – ნიჭიერი სახელმწიფო მოღვაწე და მხედართმთავარი.

შამილის ხელმძღვანელობით ჩეჩნები და დაღესტნელები კიდევ 25 წელიწადი იცავდნენ თავის დამოუკიდებლობას რუსეთის იმპერიისაგან. მხოლოდ მრავალჯერადი რიცხობრივი და ტექნიკური უპირატესობის წყალობით და დიდი მსხვერპლის ფასად დაამარცხეს და შეიპყრეს შამილი მეფის ჯარებმა 1859 წელს.

კავკასიის ომის დამთავრების შემდეგ (1864) საშობლო დატო-

ვა და ოსმალეთის იმპერიაში გადასახლდა ასობით ათასი მთიელი, მათ შორის 20 ათასზე მეტი ჩეჩენი.

რუსეთის ხელისუფლებამ ჩეჩენეთის საბოლოოდ დამორჩილების მიზნით, მისი დაბლობი რაიონები კაზაკებით დაასახლა. საკვანძო-სტრატეგიულ პუნქტებში კი ციხესიმაგრეები ააგო და გარნიზონები ჩააყენა. მმართველობა სამხედრო-პოლიციურ ხასიათს ატარებდა, მაგრამ ამან ვერ გატეხა ჩეჩენთა წინააღმდეგობის სული. XIX საუკუნის 60-იან წლებში ბრძოლას განაგრძობენ ცალკეული პარტიზანული ჯგუფები. 1877-1878 წლებში კი ჩეჩენეთი და დაღესტანი დიდმა საერთო-სახალხო აჯანყებამ მოიცვა, რომელიც დაუნდობლად ჩაახშო მეფის ჯარებმა.

ამის შემდეგ ჩეჩენთა ეროვნული წინააღმდეგობა ძირითადად უკვე ცალკეული აბრაგების მოქმედებით იზღუდებოდა, მათგან ყველაზე ცნობილია ზელიმხანი (მოკლეს 1913). ხსოვნა ამ სახალხო შურისმაძიებლებზე მრავალმა სიმღერამ შემოგვინახა.

1917-1920 წლებში რუსეთის რევოლუციისა და სამოქალაქო ომის დროს, ჩეჩენთა ფაქტობრივი დამოუკიდებლობა მოიპოვა. მის მთიანეთსა და, ნაწილობრივ დაბლობ რაიონებში აღმოცენდა მუსლიმური საამირო შეიხ უზუნ-ჰაჯის მეთაურობით. საამიროს რაზმები აქტიურ წინააღმდეგობას უწევდნენ დენიკინის არმიას, რომელიც ერთიანი და განუყოფელი რუსეთისათვის იბრძოდა.

1920 წელს ჩრდილო კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა.

ადგილობრივი ხალხების ადმინისტრაციულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის პროცესში აქ 1922 წელს შეიქმნა ჩეჩენეთის, 1924 წელს კი – ინგუშეთის ავტონომიური ოლქები. 1934 წელს ისინი გააერთიანეს და ასე ჩამოყალიბდა ჩეჩენთ-ინგუშეთის ავტონომიური ოლქი, რომელმაც 1936 წელს ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი მიიღო.

უნდა ითქვას, რომ საბჭოთა პერიოდში ბევრი რამ გაკეთდა ამ მხარის ეკონომიკური და კულტურული წინსვლისათვის. შეიქმნა ჩეჩენური და ინგუშური დამწერლობა, გაიზარდა ეროვნული ინტელიგენციის ახალი კადრები, განვითარდა ხელოვნებისა და ლიტერატურის სხვადასხვა დარგი: მაგრამ, ამავე დროს ვაინახებმა

სრულიად იწვნიეს ბოლშევიკური რეჟიმის მთელი სისასტიკეც. გასაბჭოების პირველივე წლებიდან ხელისუფლებამ დაიწყო ძველი ინტელიგენციისა და სასულიერო პირთა განადგურება. წითელი არმიის ნაწილები და ჩეკისტთა რაზმები რეიდებს აწყობდნენ სოფლებში მოსახლეობის განიარაღების მიზნით. პასუხად, კვლავ გაძლიერდა პარტიზანულ-აბრაგული მოძრაობა, რომელიც 30-იან წლებში ნამდვილ სახალხო აჯანყებებში გადაიზარდა. აჯანყებულთა წინააღმდეგ იგზავნებოდნენ რევულარული არმიის ნაწილები ავიაციის მხარდაჭერით.

1940 წლისათვის ჩეჩენ-ინგუშეთის მთიანეთის მნიშვნელოვან ნაწილში საბჭოთა ხელისუფლება ფაქტობრივად დაშვობილი იყო. აქ ჩამოყალიბდა დროებითი სახალხო-რევოლუციური მთავრობა. ომის დაწყებამ 1941 წელს აჯანყებულთა პოზიციები განამტკიცა. პასუხად, საბჭოთა სარდლობა ჰაერიდან ბომბავდა მთიელთა სოფლებს. მშვიდობიან მოსახლეობაში დიდი მსხვერპლი იყო.

1944 წლის დასაწყისში, როდესაც ათასობით ჩეჩენი და ინგუშში საბჭოთა არმიის რიგებში იბრძოდა ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ, სტალინურმა ხელისუფლებამ მოახდინა მათი ხალხების დეპორტაცია ყაზახეთსა და შუა აზიაში. ყველას, ვინც წინააღმდეგობას უწევდა, ადგილზე სპობდნენ. ეს იყო ყველაზე საშინელი ფურცელი ვაინახების ისტორიაში, რომელსაც დაახლოებით, მათი ნახევარი შეეწირა. ჩეჩენ-ინგუშეთში დარჩნენ მხოლოდ შეიარაღებული მეამბოხეები, რომლებიც მთებს აფარებდნენ თავს და კიდევ ისინი, ვინც მოასწრო მათთან შეერთება. დარჩენილები განაგრძობდნენ თავგანწირულ ბრძოლას საბჭოთა ადმინისტრაციის წინააღმდეგ.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ხელისუფლებამ ჩეჩენი და ინგუშში პარტიზანების გასანადგურებლად შინსახკომის რამდენიმე დივიზია გამოყო. 50-იანი წლების შუა ხანებისათვის მეამბოხეთა მნიშვნელოვანი ნაწილი გაწყვეტილი იყო, მაგრამ უკვე სხვა ეპოქა დგებოდა. სტალინის სიკვიდლის შემდეგ ხრუშჩოვმა მიიღო დეპორტირებულთა დაბრუნებისა და ჩეჩენ-ინგუშეთის ასსრ-ის აღდგენის გადაწყვეტილება, რაც 1957 წელს განხორციელდა. მაგრამ ამის შემდეგაც, მრავალი ცოცხლად დარჩენილი მეამბოხე საბჭოთა ხელისუფლებას არ ენდობოდა, ტყეებში იმალებოდა და განაგრძობდა აბრაგულ ცხოვრებას.

თვით ე. წ. „უძრავობის“ წლებშიც მოსკოვი არ ენდობოდა ჩეჩნებსა და ინგუშებს და ხელს უშლიდა მათ დასახლებას მთებში. სხვა ეროვნული ავტონომიებისაგან განსხვავებით, ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს ხელმძღვანელ პოსტზე – პარტიის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად, როგორც წესი, ინიშნებოდნენ ეთნიკური რუსები. „გარდაქმნამ“ გახადა შესაძლებელი, რომ ამ თანამდებობაზე მოსულიყო პირველი ჩეჩენი.

საბჭოთა კავშირის დაშლამ ჩეჩნებში კვლავ გამოაღვიძა თავისუფლების სურვილი. 1991 წელს ქვეყნის პირველ პრეზიდენტად არჩეული იქნა ჩეჩენი ხალხის საერთო-ეროვნული კონგრესის თავმჯდომარე, გენერალი ჯოხარ დუდაევი, რომელმაც იმთავითვე აიღო მტკიცე კურსი დამოუკიდებლობისაკენ.

მოსკოვის ხელისუფალნი ვერ ეგუებოდნენ ჩეჩნეთის ფაქტობრივ დამოუკიდებლობას. რამდენიმე უშედეგო ცდის შემდეგ შიგნიდან „აუფეთქებინათ“ ურჩი რესპუბლიკა, გადაწყდა ჩეჩნეთის კვანძის აშკარა ინტერვენციის გზით გადაჭრა. ფედერალურმა არმიამ ბრძანება მიიღო 1994 წ. 11 დეკემბრისათვის დაეწყო ფართომასშტაბიანი სამხედრო აქცია ჩეჩნეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ. ეს მომენტი გახდა იმ ომის დასაწყისი, რომელიც დღეს უკვე ჩეჩნეთის პირველ ომად იწოდება (თუ არ ჩავთვლით ჩეჩნეთ-რუსეთის ომებსა და შეიარაღებულ შეტაკებებს XVIII-XX სს. პირველ ნახევარში).

რუსეთის სამხედრო-პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ ძალისმიერი არჩევანის გაკეთებისას, არ გაითვალისწინა ჩეჩნური მენტალიტეტი და ჩეჩნეთ-რუსეთის ურთიერთობათა ისტორიული გამოცდილება, რომელიც მოწმობს, რომ ჩეჩნეთის ძალით დამორჩილება ძნელი და სისხლიანი საქმეა. ჩეჩნებს კი ყველაფერი ახსოვთ: მეფის გენერლებისა და წითელი დამსჯელების მხეცობები, საშინელი სტალინური დეპორტაცია. ორასწლიანმა გენოციდმა გააკაჟა მათი ხასიათი და მიაჩვია ისინი წინააღმდეგობის გაწევას ყველაზე არახელსაყრელ პირობებშიც. ამიტომ, როდესაც რუსეთის ჯავშანსატანკო კოლონები გროზნოსაკენ დაიძრნენ „კონსტიტუციური წესრიგის აღსადგენად“, ხოლო საბრძოლო ავიაციამ მშვიდობიანი დასახლებული პუნქტების დანგრევა დაიწყო, იარაღს ხელი მოჰკიდეს პოლიტიკისაგან ძალზე შორს მყოფმა ადამიანებმაც.

სამხედრო მოქმედებების პირველმავე დღეებმა აჩვენა, რომ ნახევარსაუკუნოვან მშვიდობიან ცხოვრებას ჩეჩენთა საბრძოლო თვისებები არ შეუცვლია. ჩეჩნური რაზმები წარმატებით უხამებდნენ ერთმანეთს რეგულარული ჯარების მოქმედების მეთოდებსა და პარტიზანულ ტაქტიკას. ომის შემდგომმა მსვლელობამ აჩვენა, რომ რუსეთის არმია მანცადამანც ვერ შეეწყო მოწინააღმდეგის მოქმედების ასეთ ფორმებს.

ჩეჩნეთის პირველი ომი, რომელმაც ათეულობით ათასი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა (მათ შორის 95% მშვიდობიანი მოსახლეობის წარმომადგენელი იყო), გაგრძელდა 1996 წ. აგვისტომდე, როდესაც დაღესტნის ქალაქ ხასავიურთში ხელი მოეწერა შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე. შემდეგ რუსულ-ჩეჩნური მოლაპარაკებების შედეგად ჩეჩნეთიდან გაყვანილ იქნა რუსეთის ჯარები, რესპუბლიკის პოლიტიკური სტატუსის შესახებ კი მხარეები სანახევრო გადაწყვეტილებაზე შეჩერდნენ: რუსეთი იურიდიულად არ ცნობდა ჩეჩნეთის დამოუკიდებლობას, მაგრამ ფაქტობრივად ეთანხმებოდა მას. საბოლოოდ ჩეჩნეთის რესპუბლიკის სტატუსი უნდა გადაწყვეტილიყო 5 წლის შემდეგ, ე. ი. 2001 წელს.

1997 წ. ჩეჩნეთის რესპუბლიკაში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა, რომლებშიც გაიმარჯვა ასლან მასხადოვმა (ჯ. დულაევი დაიღუპა 1996 წ. აპრილში რუსული მართული რაკეტის აფეთქებისაგან). შემდეგი პერიოდის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო მასხადოვის შეხვედრა რუსეთის პრეზიდენტ ბ. ელცინთან 1997 წ. 12 მაისს, რომლის დროსაც ხელი მოეწერა ხელშეკრულებას მშვიდობისა და ურთიერთობის პრინციპების შესახებ რუსეთის ფედერაციასა და ჩეჩნეთის რესპუბლიკას შორის. მხარეებმა ოფიციალურად განაცხადეს უარი საკამათო საკითხების გამო ძალის გამოყენებაზე და გამოთქვეს სურვილი ურთიერთობები აეგოთ საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და პრინციპების მიხედვით. მიღებულ დოკუმენტში ხაზგასმული იყო, რომ ხელშეკრულება წარმოადგენს შემდგომი ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების საფუძველს ურთიერთობათა მთელ კომპლექსში.

რუსეთსა და ჩეჩნეთს შორის შედარებითი დათბობა დიდხანს არ გაგრძელდებულა. 1999 წ. მოსკოვმა ტერორიზმთან ბრძოლის სა-

ბაბით ცალმხრივად დაარღვია 1996-1997 წწ. ხელშეკრულებები და ჩეჩნეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ ახალი სამხედრო ლაშქრობა წამოიწყო. 1999 წ. 1 ოქტომბერს დაიწყო ჩეჩნეთის მეორე ომი, რომელსაც ოფიციალურმა მოსკოვმა „ანტიტერორისტული ოპერაცია“ უწოდა.

ამ ევფემიზმის ქვეშ, სავსებით ცხადია, იმალება ჩეჩნების დამარცხების ახალი ცდა, რათა ჩეჩნეთის რესპუბლიკა რუსეთის შემადგენლობაში დარჩეს. ამიტომ მეორე ომი კიდევ უფრო დაუნდობელ და დამანგრეველ ხასიათს ატარებს. მისი მსხვერპლის რაოდენობამ, მიმომხილვეთა აზრით, უკვე გადააჭარბა პირველი კამპანიის დროს დაღუპულთა რიცხვს, ისევე, როგორც ჯარების სისასტიკემ მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ. განსაკუთრებით სამწუხაროა, რომ ყოველივე ეს ხდება ჩვენს დროში, როცა მსოფლიოში, ისე როგორც არასდროს, პრიორიტეტი ენიჭება ადამიანურობის პრინციპს, უმცირესობათა დაცვას, ეროვნული პრობლემების გადაწყვეტას პოლიტიკური ხერხებით. საერთაშორისო ორგანიზაციებმა, მიუხედავად მათი ცდებისა შეეჩერებინათ ომი, მაინცდამაინც შესამჩნევ შედეგს ვერ მიაღწიეს. შესაძლოა, ვიღაცას კიდევაც აწყობს, რომ რუსეთი ჩეჩნეთით იყოს დაკავებული და ხარჯავდეს იქ თავის ძალებს. კავკასიაში პერმანენტული ომი ხომ ქვეყანას იმავე უფსკრულისაკენ უბიძგებს, რომელშიც საბჭოთა კავშირი ჩაიშალა.

ბიორგი ანჩაბაძე

21 ივლისი 1996 წ. – აგვისტო 2001 წელი

ПРЕДИСЛОВИЕ КО ВТОРОМУ ИЗДАНИЮ

Впервые “Чеченский фольклор” мы издали в 1996 году, во время Первой российско-чеченской войны. Этим скромным сборником мы желали выразить сочувствие чеченскому народу, а также протест против неопишуемого варварства, жертвой которого стали свыше ста тысяч граждан Чечни, т.е. больше чем одна десятая часть столь малочисленного народа, испытавшего за свою историю тяжелейшие удары судьбы.

Мы не могли представить, что продлившийся два года произвол на чеченской земле, который в то время называли “установлением конституционного порядка”, вскоре, в частности в 2000 году, начнется снова и примет еще более страшную форму, на этот раз под названием “антитеррористической операции”!

Вторая российско-чеченская война длится уже третий год. Она стала кровавым мостом между XX и XXI веками, II и III тысячелетиями, старым и новым, поставив роковой вопрос: куда идет человечество, что ждет Россию, всех нас, допустивших это беспрецедентное преступление перед человечеством?

Разумеется, постановка этого вопроса имеет смысл лишь в том случае, если современное человечество не отказалось от веры в то, что основой существования мира является высший нравственный принцип, к которому должен стремиться образ жизни человека, если мы хотим сохранить человеческое лицо и хоть как-то приблизиться к мирному, плодотворному сосуще-

ствованию, потенция которого принципиально заложена в человечестве. Без такого же стремления все “мирные” мероприятия и профилактические начинания будут бесплодными. Но гораздо хуже неприкрытого отрицания этого высшего нравственного принципа являются фарисейство и лицемерие, демагогия, которая даже не моргнув глазом называет зло добром, безнравственность – нравственностью, утверждая тем самым массовую шизофрению, выражающуюся в полном смещении нравственных измерений и в неадекватности восприятия действительности, когда все больше и больше людей начинают утверждать, что белое является черным, в данном случае: что будто бы Россия в крошечной Чечне действительно борется с террористами и поэтому истребила почти треть чеченского народа, еще больше людей сделала калеками, сделала больным весь народ и уничтожила все жизненное пространство этого прекрасного края, сделала его непригодным для жизни как человека, так и животных и птиц. И эпохальной, главной проблемой является как раз то, что признаки этой массовой шизофрении видны не только в России, но и в других странах, частично и в Грузии и, что особенно горестно, и на демократическом Западе, существенная часть средств массовой информации которого повторяет как попугай информационные стереотипы официальной России.

Российско-чеченская война особо выявила масштабы морального кризиса современного человечества, признаки всеобщей эмоциональной смерти, когда жалость, сострадание по отношению к мучающимся, обреченным столь ослабевают, что мы уже имеем дело с тотальностью зомбированных людей и общества, с народом-зомби и, в конечном счете, с человечеством-монстром.

Если не эти признаки, чем иным можно объяснить это бес-

конечное насилие, этот нескончаемый государственный садизм к малочисленному, оставленному всеми народу? Народу, который, несмотря на жестокую судьбу, смог донести с древнейших времен по сегодняшний день свою национальную самобытность, традиции и язык! Неужели только тем, что в этом народе, как и в любом другом, существуют криминальные элементы, будь то террористы или обыкновенные бандиты?!

Эта невиданная несправедливость по отношению к чеченскому народу, которая не в последнюю очередь стала возможной из-за неадекватного и непоследовательного нравственного реагирования на нее Запада, невольно выдала санкцию любому насилию и необузданности во всем мире. И главное – выдала особую санкцию демагогии на то, чтобы назвать войну, ведущуюся в политических, военных, экономических и т.п. целях, такое наказание всего народа, которое не пришло бы на ум даже Сталину, “антитеррористической операцией”, т.к., как известно, мы, люди, живем в таком измерении, в котором импульсы и мысли распространяются так же свободно, как вирусы.

И поэтому после российско-чеченской войны нас не должны удивлять никакое масштабное насилие, новые, неизвестные ранее волны ненависти и агрессии. Несчастье, обрушившееся на Америку 11 сентября 2001 год, вакханалию сумасшествия и жестокости со стороны последовательных, идейных террористов мы видим тоже в этом аспекте. Более 4 тысяч невинных жертв дали Америке право начать войну против всего Афганистана. Бесчисленное же множество замученных, растоптанных, лишенных достоинства жизней, смерть более 200 тыс. чеченских женщин, детей, подростков, стариков, фильтрационные лагеря не заслужили даже то, чтобы этот ад не назывался бы “антитеррористической операцией”. Неужели демократическим миром кавказцы рассматриваются не как люди?

Немецкому мыслителю Теодору Адорно принадлежат слова: “После Хиросимы и Нагасаки писать лирические стихотворения уже нельзя”. Тем самым он зафиксировал начало новой эпохи, эпохи, принесшей зло невиданного ранее масштаба, неслыханно возросшие возможности насилия, когда появились средства массового уничтожения людей. А это означает, что традиционная поэзия, лирика стала анахронизмом, и не только в том смысле, что после кошмарного уничтожения бесчисленного количества людей стало неудобным рифмование личных невзгод лирического “я” или, например, восторги красотами природы, когда она неизлечимо отравлена и т.п., но и потому, что произошли всеобщая лингвистическая смерть, паралич языка, когда этот последний уже не может выразить специфику происшедшего, так как до этого его максимально эмоциональные слова в течение веков употреблялись по отношению ужасов гораздо меньшего масштаба. “Ужас”, “мучения”, “несчастье”, “боль” традиционного языка, традиционной лирики как будто действительно устарели, когда речь идет об Заксенхаузене и Бухенвальде, советских застенках, Хиросиме и Нагасаки и т.п., уже не могут обеспечить точность и информативность. А сейчас беспомощность языка возросла до крайности – “Грозный”, “Самашки”, “Комсомольское”, “Чечня” уже стали символами, памятниками той действительности, в которой язык постарел, обессилел из-за безграничных ужасов и он взял направление на апокалиптическое молчание.

Это я чувствую в своей душе. Чеченская война убила, отняла у меня язык: я уже не знаю, с чего начать, что и как сказать в этом океане лжи, несправедливости, зла, в котором мы оказались. И такое состояние подобно крикам во сне, когда вопли раздирают тело, но голоса не слышно.

Мысленным взором вижу стеклянный взгляд и каменное

молчание тысяч чеченских детей и женщин – эмоциональную смерть, смерть языка, смерть надежды...

В предисловии к первому изданию “Чеченского фольклора” я писала, что о художественной стороне, поэтических особенностях древнего чеченского устного народного творчества буду говорить в другое, мирное время, теперь же снова приходится говорить о войне, так как свирепствует война и гибнут люди. Там же вспоминала древнейший северокавказский народ – убыхов, чей язык уже попал не так давно, в список мертвых языков, т.к. этот народ в XIX веке был уничтожен в российско-кавказской войне, а часть его переселилась в Турцию и постепенно исчезла.

К несчастью, и в предисловии ко второму изданию “Чеченского фольклора” мне приходится говорить о войне, о второй войне и от имени моих друзей и сотрудников я снова говорю чеченскому народу: склоняем голову перед вашими страданиями.

Силу же опять должны искать в себе, в своей душе, в своих достойных традициях, в духовном наследии, завещанном нам предками, в непоколебимой вере в высшее нравственное существо, в его правду, для того, чтобы развиться, приблизиться к знаниям, и, в конце концов, – не сегодня, так завтра утвердить на измученной земле Кавказа справедливую, гуманную, светлую жизнь. Нет иного пути, нет иной силы, кроме той, которая в нас.

Существуют религиозные понятия: “дети Господа”, “народ Господа”. Сегодня в этом народе не подразумевается какой-то определенный этнос – “народ Господа” рассеян во всем человечестве, он состоит из тех людей, из “детей Господа”, чьи сердца открыты для боли любого человека. Дети Господа являются те, кто еще сохранил милосердие, у кого никакая демаго-

гия не сможет выбить моральные ориентиры, те, кого никакая современная политическая терминология и нечеловеческая софистика не смогут принудить согласиться с насилием, воровством, бесстыдством и бессмысленностью... Никто не способен помешать нам быть частью “народа Господа”, состоящего из представителей всех наций, который – рассеянный по всей земле – един, если даже составляющие его люди не знают друг друга. Это – главный народ. И главное – принадлежать ему.

Дорогие чеченские сестры и братья, дети, матери и отцы, примите наши скромные подарки: “Чеченский фольклор” (на грузинском и русском языках), научное исследование “Вайнахи” (на английском и русском языках) и книгу для чеченских детей “Солнце – мать моя” (на чеченском, грузинском и русском языках). В этих книгах запечатлелась ваша, необходимая человечеству, прекрасная душа, которой не суждена смерть.

НАИРА ГЕЛАШВИЛИ

Март 2002 года

КРАТКИЕ СВЕДЕНИЯ О ЧЕЧНЕ И ЧЕЧЕНЦАХ

Чеченцы и наиболее близкородственный им народ ингуши – потомки древнейших обитателей Кавказа. По переписи 1989 года, когда Чечня и Ингушетия составляли единую автономную республику, в ней проживало 1,279 тыс. человек: из них 735 тысяч чеченцев и 164 тыс. ингушей. В целом же в Советском Союзе в то время насчитывалось 957 тыс. чеченцев и 237 тыс. ингушей. Кроме того, несколько десятков тысяч чеченцев проживает в странах Ближнего Востока – Турции, Иордании, Ираке и др.

У чеченцев и ингушей фактически один разговорный язык (с разницей на уровне диалектов), принадлежащий к нахской (вайнахской) группе иберо-кавказской семьи языков. На его основе с 20-х годов XX века развиваются два литературных языка – чеченский и ингушский.

Этнонимы чеченец и ингуш распространились с XVIII-XIX веков, со времен утверждения России на Кавказе. Самоназвание же чеченцев – ночхо, а ингушей – гьалгьай. Существует также введенный научным путем термин – вайнах, относящийся как к чеченцам, так и ингушам.

Первые сведения о чечено-ингушских (вайнахских) племенах относятся к античности и раннему средневековью. В древнегреческих, армянских, грузинских и восточных письменных исторических источниках они упоминаются под разными названиями: гаргарей, нахчаматьяне, кавкасиане, дурдзуки, кусты и др. Эти племена населяли в основном горы и предгорья Чечено-Ингушетии, хотя во время нашествий кочевников (скифов, сарматов, гуннов, монголов) они покидали плоскость и концентрировались только в горах.

Тесные связи имели чечено-ингушские племена с Грузией. В средневековом своде грузинских летописей «Картлис цховреба» сообщается, что первый царь Восточной Грузии (Иберии) Фарнаваз (конец IV века до н. э.) был женат на женщине из племени дурдзуков.

Особенно интенсивными становятся грузино-вайнахские взаимоотношения в XII – нач. XIII века, когда из Грузии на территорию Чечено-Ингушетии проникает христианство, строятся церкви, вайнахские отряды принимают участие в войнах Грузии и т.д. Однако христианство не пустило глубокие корни в Чечено-Ингушетии, ведущую роль здесь продолжали играть языческие верования. А с конца XVI века начинает распространяться ислам, который в первой половине XIX века становится господствующей религией.

Феодалные отношения у вайнахов зарождаются в XVI веке, но этот процесс был замедлен в условиях жизни в горах. В большой степени сохранились пережитки первобытнообщинного строя. Население делилось на роды (тейпы) и общины, объединявшие несколько родов. Основным занятием было земледелие и животноводство, а ремесла были развиты в меньшей степени. К этому периоду относится и «каменная летопись» страны вайнахов – башни и крепости горного региона.

В XVI веке в северной части современной Чечни появляются первые русские поселения: казачьи городки и царские крепости. В этот период между чеченцами и русскими царят добрососедские, торгово-хозяйственные взаимоотношения, возникают родственные связи. Многие горцы служили в русских крепостях и селились вокруг них.

Ухудшение русско-чеченских взаимоотношений начинается примерно с 70-х годов XVIII века, когда Российская империя, укрепившись в Предкавказье, в Азово-Каспийском междуморье, начинает планомерное наступление на вольные народы Северного Кавказа с целью их покорения. Горцы оказывали отчаянное сопротивление. Начинается многолетняя вооруженная борьба, во-

шедшая в историю под названием Кавказской войны. Главными участниками ее со стороны горцев были чеченцы, население Западного Дагестана и народы адыго-абхазской ветви.

Начало Кавказской войны датируют по-разному, в основном в пределах первой четверти XIX века, но, по нашему мнению, началом ее следует считать 1785 год, когда в Чечне вспыхнуло мощное антиколониальное движение, возглавляемое шейхом Мансуром.

Мансору первому удалось объединить различные горские племена под лозунгом борьбы за свободу и нанести серьезное поражение царским войскам. И хотя в 1791 году русским удалось захватить в плен Мансура, сопротивление чеченцев не прекратилось. К началу XIX века они уже приобрели славу особо воинственных и непокорных. Командующий русскими войсками на Кавказе генерал Ермолов с позиции царского военачальника называл чеченцев «опаснейшими злодеями». Своим подчиненным главнокомандующий приказывал: «Почаще тревожить чеченцев... схватывать людей, скот, лошадей, сжигать хлеб, сено, одним словом, наносить им сколь возможно более вреда». Приказы эти усердно исполнялись.

Однако жестокость завоевателей еще больше усиливала сопротивление чеченцев. В 20-е годы XIX века на северо-восточном Кавказе начинается новое объединительное движение, в результате которого в горах Дагестана и Чечни образовалось государство – имапат.

С 1834 года его возглавил Шамиль, талантливый государственный деятель и полководец. Под его предводительством чеченцы и дагестанцы еще 25 лет отстаивали свою независимость в борьбе с Российской империей. Лишь благодаря подавляющему численному превосходству и ценой огромных потерь удалось царской армии победить и взять в плен Шамиля в 1859 году.

После окончания Кавказкой войны (1864 г.) покинули родину и переселились в Османскую империю сотни тысяч горцев, не желавших примириться с господством царской администрации.

Российское правительство для того, чтобы держать чеченцев в повиновении, заселило низменность Чечни казаками, а в стратегических узловых пунктах построило крепости и поставило гарнизоны. Началась эпоха тяжелого колониального ига. Управление носило военно-полицейский характер.

Но и это не сломило дух сопротивления чеченцев. В 60-е годы XIX столетия борьбу продолжают вести отдельные партизанские отряды, а в 1877-78 годах Чечню и Дагестан охватило мощное общенародное восстание, которое было жестоко подавлено царскими войсками.

После этого национальное сопротивление чеченцев в основном уже ограничивалось действиями отдельных абреков. Наиболее известен среди них Зелимхан (убит в 1913 году). Память об этих народных мстителях сохранилась во многих песнях.

В 1917-1920 годах во время российской революции и гражданской войны Чечня фактически добилась независимости. В ее горных и, частично, низменных районах образовался мусульманский эмират, возглавляемый шейхом Узун-Хаджи. Отряды эмирата оказывали активное сопротивление армии Деникина, борющейся за единую и неделимую Россию.

В 1920 году на Северном Кавказе победила советская власть. В процессе административно-государственного устройства местных народов в 1922 году была создана Чеченская, а в 1934 Ингушская автономная область. В 1934 году их объединили, и таким образом, возникла Чечено-Ингушская автономная область, в 1934 году получившая статус автономной республики.

Следует отметить, что за период существования советской власти немало было сделано для культурного и экономического развития края. В частности, были созданы чеченская и ингушская письменности, выросли новые кадры национальной интеллигенции, получили развитие различные виды искусства и литературы. Но вместе с тем, вайнахи сполна испытали на себе всю жестокость большевистского режима. С первых же лет власти начали уничтожать старую интеллигенцию и духовенство. Подразделе-

ния Красной Армии и ГПУ проводили рейды в селениях с целью разоружения населения. В ответ на это вновь усиливается партизанско-абреческое движение, которое с 30-х годов перерастает в настоящие народные восстания. Против повстанцев направлялись части регулярной армии при поддержке авиации.

К 1940 году в значительной части горных районов Чечено-Ингушетии советская власть была фактически свергнута. Там образовалось временное народно-революционное правительство. Начало войны в 1941 году укрепило позиции повстанцев. Советское командование в ответ подвергало горные села жестоким бомбардировкам с воздуха. Среди мирного населения были большие жертвы.

В начале 1944 года, когда тысячи чеченцев и ингушей сражались в рядах Советской Армии против гитлеровской Германии, сталинское правительство произвело депортацию этих народов в Казахстан и Среднюю Азию. Каждого, кто оказывал сопротивление, уничтожали на месте. Это была самая страшная страница в истории вайнахов, жертвой которой стала примерно половина их. В Чечено-Ингушетии остались лишь вооруженные повстанцы, скрывавшиеся в горах, и те, кто сумел к ним присоединиться. Они продолжали самоотверженную борьбу против советской администрации.

После Второй мировой войны для уничтожения чеченских и ингушских партизан было выделено несколько дивизий НКВД. К середине 50-х годов значительная часть повстанцев была уничтожена. Но уже наступала другая эпоха. После смерти Сталина Хрущевым было принято решение о возвращении депортированных и восстановлении Чечено-Ингушской АССР, что и было осуществлено в 1957 году, но и после этого многие оставшиеся в живых повстанцы не верили советской власти и, скрываясь в лесах, продолжали абреческую жизнь. Даже в период т.н. застоя Москва не доверяла чеченцам и ингушам и препятствовала их расселению в горах. В отличие от других национальных автономий Северного Кавказа, на высший руководящий пост Чечено-Ингушетии, пер-

вого секретаря обкома КПСС, как правило, назначались этнические русские.

С распадом Советского Союза у чеченцев вновь усилилось стремление к свободе. В 1991 году первым президентом Чечни был избран председатель исполкома Общенационального конгресса чеченского народа, генерал Джохар Дудаев, с начала же своего президентства взявший твердый курс на достижение независимости.

Ингушетия, в отличие от Чечни, не ставила вопроса о выходе из состава России. В 1992 году была образована Ингушская республика в составе Российской Федерации.

Москва не могла примириться с фактической независимостью Чеченской республики. После нескольких неудачных попыток «взорвать» изнутри непокорную республику было решено разрубить чеченский узел силовым путем. Федеральная армия получила приказ начать 11 декабря 1994 года широкомасштабную военную акцию против Чеченской республики. Это стало началом войны, которая сегодня именуется уже Первой Чеченской войной (если не считать русско-чеченских войн и вооруженных столкновений XVIII в.).

Военно-политическое руководство России, делая ставку на силовое решение, явно рассчитывало на огромное материально-техническое и численное превосходство федеральных войск. Однако, при этом совершенно не был учтен менталитет чеченцев, а также исторический опыт российско-чеченских отношений, показывающий, что «усмирение» Чечни силой оружия – дело долгое и кровавое. Чеченцы же помнили все: и зверства царских генералов, и красных карателей, и страшную сталинскую депортацию. Периодически повторяемый геноцид закалил их характер и приучил оказывать отпор даже в самых, казалось бы, невыгодных условиях. Поэтому, когда российские бронетанковые колонны двинулись на Грозный восстанавливать «конституционный порядок», а боевая авиация стала громить мирные населенные пункты, за оружие взялись даже очень далекие от политики люди.

Первые же недели боевых действий показали, что военные качества чеченцев не изменились за полувековой период мирной жизни. Чеченские отряды умело сочетали методы действий регулярных войск и партизанских формирований. Дальнейший ход войны показал, что российская армия не сумела полностью приспособиться к таким комбинированным формам действия.

Первая Чеченская война, в которой погибли десятки тысяч людей (причем, до 95% составляли представители мирного населения), длилась до августа 1996 года, когда в городе Хасавюрте (Дагестан) была достигнута договоренность о прекращении огня. В результате дальнейших российско-чеченских переговоров российские войска были выведены из Чечни, а в отношении политического статуса республики стороны остановились на половинчатом решении: Россия де-юре не признавала независимость Чечни, но на деле соглашалась с ее самостоятельным существованием. Окончательно статус Чеченской республики должен был быть определен через пять лет, т.е. в 2001 году.


В январе 1997 года в Чеченской республике состоялись президентские выборы, на которых победу одержал Аслан Масхадов. (Джохар Дудаев погиб в апреле 1996 года в результате целенаправленного удара российской ракеты). Значимым событием последующего периода стала встреча Масхадова с президентом Б. Ельциным 12 мая 1997 года, на которой был заключен договор о мире и принципах взаимоотношений между Российской Федерацией и Чеченской республикой. Стороны официально декларировали отказ от применения силы при решении спорных вопросов и желание строить свои отношения в соответствии с общепризнанными принципами и нормами международного права. В принятом документе подчеркивалось, что договор является основой для заключения дальнейших договоров и соглашений по всему комплексу взаимоотношений.

Однако «оттепель» в российско-чеченских отношениях длилась недолго. В 1999 году Москва, под предлогом борьбы с терроризмом, в одностороннем порядке денонсировала договоры 1996-

1997 годов и начала новый военный поход против Чеченской республики. Так 1 октября 1999 года началась Вторая Чеченская война, которую официальная Москва назвала «антитеррористической операцией».

За этим эвфемизмом, совершенно очевидно, кроется новая попытка разбить чеченцев и силой удержать Чечню в составе России. Поэтому вторая война носит еще более беспощадный и разрушительный характер. Количество ее жертв, по мнению обозревателей, уже затмило число погибших в 1-й компании, как и жестокость, проявляемая войсками к мирному населению. Особенно прискорбно, что это происходит в наши дни, когда в мире, как никогда прежде, приоритет отдается принципу человечности, защите прав меньшинств и политическому решению национальных проблем. Международные организации, несмотря на свои старания остановить войну, пока не особенно преуспели в этом. Возможно, кому-то даже выгодно, чтобы Россия была скована Чечней и растрчивала свои силы. Ведь перманентная война на Кавказе подталкивает страну к той же пропасти, в которой разбился Советский Союз.

ГЕОРГИЙ АНЧАБАДЗЕ
21 июля 1996 – август 2001 г.



პოეზია



* * *

იმ ღამეს ვიშვით, როცა ლექვებს ყრიდა ძუ მგელი,
დილით დაგვარქვეს სახელები ლომის ღრიალში,
მთის არწივების საბუღარში გვზრდიდნენ დედები,
ხოლო მამები გვასწავლიდნენ ხართა მოთოკვას.

ამ მიწა-წყლისთვის, მამულისთვის გვზარდეს დედებმა,
და განსაცდელში ჩვენს სამშობლოს მტკიცედ დავიცავთ,
მთის თავისუფალ არწივებთან ერთად დაგზრდილვართ,
სიძნელები ღირსეულად დაგვიძლევია.

ეს გრანიტის კლდე ტყვიასავით დადნება უმაღლ,
ვიდრე ბრძოლაში დაკარგავდეთ კაცურ ღირსებას,
უმაღლ გასკდება დედამიწა მზის სიმხურვალით,
ვიდრე მიწაში ჩავიდოდეთ სულგაყიდულნი.

ქედს არ მოვიხრით არასოდეს არვის წინაშე,
ჩვენ ერთი გზა გვაქვს: სიკვდილი ან თავისუფლება!
ჭრილობებს დები სიმღერებით მოგვიშუშებენ,
ხოლო სატრფონი აღგვანთებენ ისევე საომრად.

ზის ფესვებს დავღრღნით, შიმშილმა თუ შემოგვიტია,
ცვარ-ნამს შევსრუტავთ, წყურვილმა თუ დაგვრია ხელი,
იმ ღამეს ვიშვით, როცა ლექვებს ყრიდა ძუ მგელი,
უფალს, ჩვენს მოდგმას, ჩვენს მიწა-წყალს ვემსახურებით!

* * *

ღამეს გაჰყმუის ბეჭობიდან ეული მგელი,
იყმუველე, მგელო, მუხლმაგარო, მიდი, იყმუველე!

მე გისმენ, გისმენ და გაყურადებ,
რადგან მგონია, შენც ჩემს დღეში ხარ.

ჯერ გავიფიქრე – იმ მუხლმაგარ მგელს,
ალბათ, შიმშილი აყბუვლებს-მეთქი,
არადა, თურმე თავის ხროვას ჩამორჩენია.
ძნელი ყოფილა, ბიჭებო, ძნელი,
ტოლ-სწორებსა და ძმებს რომ მოსწყდები.

დათვი ბლუოდა ლელიანში ჩახეტებული,
იბღუვლე, დათვო, ბრაზიანო, მიდი, იბღუვლე!
მე გისმენ, გისმენ და გაყურადებ,
რადგან მგონია, შენც ჩემს დღეში ხარ.

ჯერ გავიფიქრე – იმ მძვინვარე დათვს,
ალბათ, სიცივე აბაბანებს, აბღუვლებს-მეთქი.
არადა, თურმე ბერო-ბუნაგი
აუოხრეს და გაუნადგურეს.

ეჰ, ბიჭებო, რისთვის ნატრობთ ხანგრძლივ სიცოცხლეს,
ყველაზე უფრო ხნიერიც ხომ ას წელს ვერ ცოცხლობს!

* * *

ჰეი, ბიჭებო, ნუმც დავხოცილვართ
ერთმანეთის ნლობდაკარგულნი,
ჰეი, ბიჭებო, ნუმც დავხოცილვართ
ერთმანეთის სიყვარულდაკარგულნი.
მშობლებს ნუმც გასჩენიათ ვაჟი უღირსებო
და თუ გაუჩნდათ, გაზრდა არ ეღირსოს,
მშობლებს ნუმც გასჩენიათ უნდო ვაჟიშვილი
და თუ გაუჩნდათ, შუადღემდე ნუმც უცოცხლია!

მთის ფერდობებზე
ქარბუქი ავარდა,
ეხებში შერეკა
ფერწმინდა ნადირი.

ნადირს გააფრთხობს
ტყაეჭრელი ვეფხვი:
— ჭიუხის ეხში
ბოკერები მყავსო!

სვავ-ორბებს აფრთხობს
ლეგა შევარდენი:
— მწვერვალზე ბუდეში
მართვენი მყავსო.

ჩვენ კი, ჯიგიტებს,
გვემუქრება მოსკოვის მეფე:
— დიდი რუსეთის
მბრძანებელი ვარო!

პატრონიმც ნუ მოგიკედება,
მზიურო სამშობლოვ,
უცხომ ვერავინ მოგიხმაროს
თავის ნებაზე!

ერთი ანგელოზია
უფრთოდ შობილი:
— ღმერთმა ფრთა რომ მიბოძოს,
გაეფრინდებოდიო!

ერთიც ვარსკვლავია,
უშუქოდ შობილი:
— ღმერთმა შუქი რომ მიბოძოს,
გაებრწყინდებოდიო!

სულ იმათ არა ჰგავს
ჩვენი გულები!
– ღმერთმა უნარი რომ მოგვცეს,
ვიბრძოლებდითო!

პატრონიმც ნუ მოგიკვდება,
მზიურო სამშობლოვ!
უცხომ ვერავენ მოგიხმაროს
თავის ნებაზე!

როგორაც თაფლი
ჩაბინდული მინაქრის თეფშზე,
ასე ტკბილი ხარ,
მზიურო სამშობლოვ.

ღვიძლი რომ მწარდება
შიგანის აქნისას ნაღველგადასხმული,
ასე გამიმწარდი,
მზიურო სამშობლოვ!

* * *

აგრემც მოგიკვდეს ჩემი თავი,
ტკბილო სამშობლოვ,
განა ვინ გაძლა შენი ტრფობით,
ვინ მოგისურვილა?!

აჰა, გალალდი,
ჩემო დუშმანო!
მე კი შეერჩები სიკვდილამდე
ამ ტიალ ციმბირს.

დედა მყავს
მშობლიურ სოფელში,

დედას დავაეციწყდები,
როცა ჩემს საფლავს ბალახი დაფარავს.

მამა მყავს
მშობლიურ სოფელში,
მამას დავაეციწყდები,
როცა საფლავზე ქვას დამადებენ.

ძმა დამრჩა
მშობლიურ სოფელში,
ძმა ვერ დამივიწყებს,
ვიდრე გვერდით არ მომიწვება.

დაე, ლურჯი ცა,
თავზე რომ გვახურავს,
ყვითელ ოქროდ იქცეს და
ვისაც უნდა, მისი იყოს.

მე კი, ნეტავ, სატრფოსათვის
თვალი შემავლებინა.

დაე, ეს შავი მიწა
ჩვენს ფერხთ ქვეშ რომ ვხედავთ,
თეთრ ვერცხლად გადაიქცეს
და ვისაც უნდა, მისი იყოს.

მე კი, ნეტავ, ძმასთან ერთად,
ერთი სადმე გამეველო.

წინ მაღალი მთა რომ ჩანს,
წითელ სპილენძად იქცეს,
და ვისაც უნდა,
მისი იყოს.

მე კი, ნეტავ, თუნდაც ერთხელ
მეგობართან მასაუბრა.

ნეტავ, არ გაგეჩინე,
შშობელო დედავ!
ნეტავ, სულ არ მენახა
ეს მზიანი ქვეყანა!

ჩორას სევდიანი სიმღერა

წერილ წელზე
შემორტყმული ტყავის ქამარი,
გარსაკრით შეცვალეო, –
მეფის მთავრობამ!

ტანზე მორგებული
მაუდის ჩოხა,
კაბა-ჯუბით შეცვალეო, –
მეფის მთავრობამ!

კრაველის ქუდი,
თავზე რომ მეხურა,
ჩაჩით შეცვალეო, –
მეფის მთავრობამ!

მამაპაპეული
ფოლადის იარაღი,
ჯოხზე გაცვალეო, –
მეფის მთავრობამ!

ცხენს რომ შეეზარდე,
ცხენიდან გადმოდი და
ქვეითად გამწესდიო, –
მეფის მთავრობამ!

ჩემი ძმების მკვლელებს,
იმ ღვთის მოძულეებს,
დაემონე და დაშოშმინდიო, –
მეფის მთავრობამ!

იმათთან მოისვენე
საერთო ბაგაში,
ერთი გობიდან თქელიფეთო, –
მეფის მთავრობამ!

მამაჩემმა – არამიო!
რომ ამიკრძალა,
ღორი ჭამეო! –
მეფის მთავრობამ!

* * *

მინდორზე ალამს რომ ააფრიალებ
და ჯარს ააზვირთებ, შამილ,¹
ლაშქარს რომ წაუძღვები
და ბედაურს ათამაშებ, შამილ.

თუ იპყრობ, დააპყრობინე
ეს ვრცელი ბაღნარები,
თუ არადა, ნუ ტანჯავ
ამ ჩიჩენ ბიჭებს!

ბიჭებს გულში ჩაეარდნიათ
თავმრგვალი კოშკი,
კოშკის ფანჯარასთან
შვიდი ძმის და ღვას.

რჩეულის ხვედრიაო,
გაგვიგონია,

მის მოსაპოვებლად გავეშადლოთ,
ეპი, ჩეჩენო ბიჭებო!

დის ნატირალი კმაზი

დაი მოგიკვდეს,
ენაწართმეულო,
ტანგაციებულო,
ნათელ თვალებში ნათელჩამქრალლო!
გულშეწუხებული, ცრემლად ქცეული
დაი მოგიკვდეს!
იქნებ დილამდე გასტანოს-მეთქი,
იქნებ საღამომდე გასტანოს-მეთქი,
დილის საქმეს შუადღეს ვაკეთებდი,
შუადღისას კი – საღამოს ჟამზე.
ცხელი საჭმელი მიცივლებოდა
შენს მოლოდინში,
დაი მოგიკვდეს!
ამ ქვეყნად, სადაც შენ იარებოდი,
როგორღა ვიარო,
დაი მოგიკვდეს!
ქვითინით უნდა ვიარო,
უშენოდ დარჩენილ ქვეყნიერებაზე,
დაი მოგიკვდეს!

* * *

ხომ მაგარია რკინა-ფოლადი,
მაგრამ აღნობს ცისფერი ალი,
შენ კი რისგან ხარ ნაჭედი, გულო,
ასე მაგარი?!

როცა წყარონი ყინულად იქცნენ,
კენწეროები ჭირხლმა დაფარა,

როცა ჩეჩნეთში და ინგუშეთში
თავზარდამცემი ხმები ღაღაღა,²
არ დაიფერფლე, არ მოკვდი, გულო!
რისგან ხარ ქმნილი ასე მაგარი?!

როდესაც მოხუც დედებს და მამებს
მუჯღუგუნებით ერეკებოდნენ
და ანგელოზებს გულმკერდიდან აგლეჯდნენ დედებს,
როცა აგვეყარეს მშობელ მიწიდან
იმ დილით, გულო, არ დაიფერფლე,
რისგან ხარ ქმნილი ასე მაგარი?!

რკინის ხახიდან ლურჯ ალს რომ აფრქვევდა,
ცოდეიან გზაზე გრძელ ტანს მთარხვედა,
მატარებელი რომ მიირწეოდა,
არ ჩაიბუგე, არ მოკვდი, გულო!
რისგან ხარ ქმნილი ასე მაგარი?!

ირემი

მთის ძირიდან მოჩუხჩუხე ცივი წყაროს წყლით
გახურებულ მკერდს რომ არ იგრილებს, წყურვილს არ
იკლავს,
ტყის ნაპირას მობიბინე ნაზი ბალახით
სალუქ მუცელს რომ აღარ ივსებს,

ტყეთა მდებლობებზე მგელივით რომ დაძრწის,
დაბურულ ხევში ჩაეშვება, ვეძას დაეწაფება,
მთის თხემზე მოექცევა, ფხიზლად ყურს მიაპყრობს,
ემინია, მონადირის ტყვიამ არ განგმიროს,

სალ კლდეს რქის ტოტებს რომ უხახუნებს,
წიფლის ფესვებს ჭრელ ფლოქვებს რომ უბათქუნებს,

ყურებს დაცქვეტს, რქებს უკან გადიყრის,
ჩამოივაკებს, ფურირმებს მოუხმობს.

რამდენი ასეთი ქორბუდა დაეხეტება, ფურირემს მოწყვეტილი,
განა მარტო ჩვენა ვართ, ბიჭებო, წყურვილმოუკვლელნი?!

* * *

როგორც მხარგაშლილ წიფელს სიო არ მოაკლდება,
ისე კაი ყმას უკან დასდევს სიტყვა მკილაღი,
როგორც მხარგაშლილ წიფელს სიო არ მოაკლდება,
ისე უძმო ქალს უკან დასდევს სიტყვა მკილაღი.

ერთი ასული ყოფილა და ძმა არ ჰყოლია, —
„ძმა რომ მყოლოდა, ჩემი რიდიც ექნებოდათო!“
ცამოწმენდილზე ვის უნახავს თქორი და წვიმა,
უძმო ქალწულს კი გული უძგერს, მალ-მალ უტირის.

— ჩემი ტოლები ცხოვრებამ გააღალა,
ცხოვრება ამეწეწა, მე ბედშავს,
სპილენძის თუნგით წყალზე რომ წაეიდე,
ცივი წყაროც დაშრება, ისეთი ბედი მაქვს!

ერთი მტრედი ყოფილა უფრთოდ დაბადებული,
უფრთო მტრედია უძმო ქალწული.

* * *

ნუ იტყვი, ძმა არისო, ნუ იტყვი, და არისო,
ღვიძლი თუ არ არის შენი.
ბიძაშვილიაო, ნურც ამას იტყვი,
მამაშენის ღვიძლი ძმისა თუკი არ არის.

უმწყემსო ნახირის გარეკვა ადვილია, იცოდე,
უმწყემსო ნახირი უძმო ქალია,

ნედლი ყლორტის გადატეხაც ადვილია, იცოდე.
ნუმც შევსწრებივარ, წყაროსთან მივიღე
და წყაროსთავზე ძმა ვერ დავლანდო,
ღმერთო, არ მომასწრო, საფიხენოს შეეხედო
და იქ მამაჩემს ვერ მოვკრა თვალი.

* * *

ირგვლივ მთებია, — ასე უთხარი,
მთაზე მე ვდგავარ, — ასე უთხარი!
იმ ვაჟს, რომელიც ჩემზე ოცნებობს,
ჩემს წასაყვანად მოვიდეს, — უთხარი.

ჩემს სიტყვაზე ვდგავარ, — ასე უთხარი,
მშვიდობის გზა ექნება, — ასე უთხარი,
მის გარდა არავის გავყვები, — უთხარი,
ჩემს წასაყვანად მოვიდეს, — უთხარი.

ქარი ამოვარდა, — ასე უთხარი,
ქარი და თქეშია-თქო, — ასე უთხარი,
გულის სწორს ელის-თქო, — უთხარი,
ქარიშხალში დგას-თქო, — უთხარი.

მდინარე გაიყინა, — ასე უთხარი,
ყინულზე ვდგავარ, — ასე უთხარი,
მწყურვალს წყალიც კი დაავიწყდა-თქო
სატრფოს მოლოდინში, — ასე უთხარი.

* * *

ნუ იტყვი, დღე ღრუბლიანიო,
ადექ და წამოდი!
ღრუბლები რომ გაფანტოს,
მზეს შევიპირებ.

ნურც იმას იტყვი,
ღამე ბნელიაო,
მაინც წამოდი!
სიბნელე რომ გაიფანტოს,
მთვარეს შევიპირებ.

წვიმიანი ღლეც იყოს,
მაინც წამოდი!
წვიმამ რომ არ დაგასველოს,
შენს თავს ზემოთ მანდილს დაეიჭერ.

მაგრამ რომ აღარ მოდიხარ,
ეს მხარე რომ სულ დაივიწყე!
სილამაზებ თუ გაგათამამა,
თუმც მაგ ქედმალლობით
მე ნირს ვერ შემეცვლი.

გულის სწორს ბრალს ვერ დავდებ,
უფლება არ მაქვს,
აღბათ, ღამე იყო ბნელი და
შიშს ვერ მოერია.

* * *

როგორ გავბედე,
რომ შეგიყვარე?
მოულოდნელად
ფიქრი შენზე რისთვის დაივიწყე?

ეს ფიქრები აღარ მენსნება.
ვიდრე არსებობს ეს ქვეყანა
და მეც ვარსებობ,
ჩემი გული ვერ დაგივიწყებს.

მითხარ, საყვარელო, გიყვარვარ თუ არა,
ზომ არ მატყუებენ შენი ღრმა თვალები?
გემუდარები, ჩემო თვალისჩინო,
გამიზიარე გულისნაღები.

თუნდაც ერთი დღე რომ ვერა გნახო,
ყმაწვილი გული საგულეში აღარ მიდგება.
შენს გარდა არავინ მჭირდება, იცოდე,
თავიდან მოიცილე უწყური ფიქრები.

ტრფობას ნუ ჩააქრობ, მოდი სიყვარულით
და მაშინ მეც გეტყვი, ჩემო გულის სწორო:
„იყავ ბელნიერი ამ ღამაზე მხარეში,
დე, შენი ცხოვრება მუდამუამს ბრწყინავდეს
და ნუ დაივიწყებ, ვისაც შენ უყვარდი!“

მე შენი ერთი სიტყვაც გამაცოცხლებს,
ოღონდ სიყვარულით მოდი ჩემს სოფელში.
სიყვარული ძნელია, სანატრელო,
მაგრამ ათასჯერ ძნელია იქ ყოფნა,
სადაც შენ არა ხარ!

* * *

სული რისთვის მიწრიალებს, ნეტავ,
სული რისთვის შემომტირის, ნეტავ,
უბედურება მემუქრება, თუ
ბელნიერი ვიქნები, ნეტავ?

სალამო გელისო, მეუბნებიან,
დილა გელისო, მეუბნებიან,
ღამაზე ვაჟი — „თუ გამომყვები,
ბელნიერი იქნებიო“ — მეუბნება.

სალამოსაც მომწვევითეს, დედა,
დილის ნათელსაც მომწვევითეს, დედა,
ლამაზმა გაუმა – „გამომყვიო“ –
ბედნიერებას მომწვევითა, დედა.

მზეზე ლამაზი შენა ხარ-მეთქი,
მთვარეზე ლამაზი შენა ხარ-მეთქი,
გეუბნებოდი, გულის რჩეულო,
შენ კი შენივე სიტყვა გატეხე.

სალამო ტანჯვად გადამიქციე,
დილა ტანჯვად გადამიქციე,
ბედნიერი იქნებო, მეუბნებოდი,
უბედურება დამატეხე თავს.

ა, იმ მაღალ მთას შორით ხომ ხედავ?
ა, იმ მაღალ მთას შეავლე თვალი?
იმ მთისოდენა სიამაყე მაქვს,
უშენოდაც გავიკვლევ გზას.

* * *

ლოგინს მიჯაჭვული სნეული არა ვარ,
ალარც ჯანმრთელი ვარ, ძლივსლა დავაბიჯებ,
შენმა გაცნობამ სნება რომ შემყარა,
ის სნება არადა აღარ მეხსნება.

ყოველ დილას ფხიზლად გდარაჯობ,
ყოველ სალამოს ფხიზლად გდარაჯობ,
ვუთვალთვალე შენს გამოჩენას,
რომ ეს გული გადაგიშალო.

სიყვარული მძიმე სენია,
უსიყვარულოდაც რომ არ გეცხოვრება!

მკედარი გენახო, მშობელო დედავ,
თუკი ჩემს სიყვარულს წინ გადაუდგები.

უსალამოდ დილა ვერ იქნება,
უგანთიადოდ მწუხრი ვერ იქნება,
უსიყვარულოდ ქვეყანა ვერ იქნება,
რად მტანჯავ ამაო ფიქრებით?!

დილა არ გათენდებაო, ვინც იტყვის,
ბინდი არ ჩამოწვებაო, ვინც იტყვის,
შენი არ იქნებაო, ვინც ჩემზე იტყვის,
მდინარე აღმა სურს შეატრიალოს.

ლოგინს მიჯაჭვეული სნეული არა ვარ,
ალარც ჯანმრთელი ვარ, ძლივსლა დავაბიჯებ,
შენი გაცნობის დღეს რომ შემეყარა,
ის სნება არადა აღარ მებსნება.

მარჟანი

გაზაფხულის ყვავილებს სილამაზე ატირებთ,
საკუთარი სიმწვანით ველ-მინდვრებიც ტირიან.
ამ თვის მეთოთხმეტე დღე მიილგვა, მარჟან,
და შენი მეთოთხმეტე წელიწადი იწყება...

შემოდგომის ყვავილებს ჭირხლი უსპობს სიცოცხლეს,
ზამთრის ცივი ქარები არემარეს თოშავენ,
ბადრი მთვარის ნათელსაც მილგვა დაუწყია,
შენ თოთხმეტის ხდები და შენი ღროც იწურება...

ღმერთმა დიდხანს უცოცხლოს შენი თავი დედაშენს,
შენდამი სიყვარულმა ეს გული დამიკოდა,

მარჟან, უშენობას გული ველარ გაუძლებს,
ხანძარი მოსდებია, ზღვაც კი ველარ ჩააქრობს.

ჩემი უბედურება სხვას ვის უნდა შევჩვილო,
შენს იქით სხვა მკურნალი აღარა მყავს, მარჟან.
მშვიდობა შენს შემოსვლას, ლამაზო გაზაფხულო,
მშვიდობა შენს შემოსვლას, მშვენიერო მარჟან.
გაზაფხულს ეჯიბრები? — გაზაფხული გაივლის,
ხოლო შენი სინორჩე არსად წავა, მარჟან.

დილის გრილი ნიავი მწვანე ბალახს ათრთოლებს,
მჭმუნვარებას აზვირთებს მწუხრის ჟამის ფიქრები,
მაგ ლამაზი თვალებით გული რომ დამიკოდე,
შენს იქით სხვა მკურნალი აღარა მყავს, მარჟან.
გაზაფხულის სამივ თვეს ჩემს ცხენს შემოვევლები,
და ზაფხულის სამ თვეში ბროლის ქიმს დავამსგავსებ,
მოგიტაცებ, წაგიყვან, მშვენიერო მარჟან,
გვეჯდრები, გამომყევ, ნულარ დააგვიანებ.

* * *

წვიმა წამოვა და მიწა შეისრუტავს,
წყლები წავლენ და ქეები დარჩებიან,
მაგრამ, ვაი, რომ აღარ მოშუშდება
ეს გული შენგან დაიარებული.

შენმა სიყვარულმა ტანი დამიშალა,
შენმა სიყვარულმა გული დამინაცრა,
ეს ჩემი ფიქრები შენგან დანამქრული,
ჯიუტობენ და აღარ იდარებენ.

უსაღამოდ არ იქნებაო,
უგანთიადოდ არ იქნებაო,

აბა, უშენობა როგორღა იქნება,
ვაი, რა სატანჯველს გადამკიდე.

სადაც მთაა, მთაზე ავალ,
სადაც ხევი – ხევში ჩავალ,
რა საკირეში ჩამაგდე!
ეგებ ტყეში გავიჭრა და
მოთქმით გული მოვიოხო.

მთის მდინარე რომ მოჰქუხდეს,
იმის ტალღებს რომ მივექონდე,
დე, წამიღონ, დობილებო,
წყალს უბედური მიაქვს-თქო.

კოცონი რომ გიზგიზებდეს,
ცეცხლში რომ ვიფერფლებოდე,
დე, დავიწვა, დობილებო,
გოგო იწვის ბედკრული-თქო.

* * *

ნუ დაეშვები, მწუხრო ლამაზო, მზის მიდრეკისას ბინდი
ნუ მოგაქვს,
შინ რომ ვბრუნდებით, ბინდში მშობლებს ველარა ეხედავთ.
ნუ, ნუ მოდიხარ, დილავე ლამაზო, მზის ამოსვლისას შუქი
ნუ მოგაქვს,
დღის სინათლეში გარეთ რომ გავალთ, ნამდვილ მეგობრებს
ველარსად ეხედავთ.
ნუ, ნუ მოუხვალ ოქროვან ტახტით, მზეო, ქვეყანას,
ნუ გაანათებ,
აქაურობას ნათელს რომ მოჰყენ, ათასნაირი საწუხარი
წამოგვეშლება.
ნუ, ნუ ეწვევი შენ, გაზაფხულო, ქვეყნიერებას პირმშვენიერი,

პირმშვენიერი რომ მობრძანდები, გულებს მკერდში
 ველარ ვიოკებთ,
 ნუ დამშვენდებით მინდორ-ველებო, ნორჩი ბალახით
 ნუ ამწვანდებით.
 თქვენ რომ მწვანდებით და ხასხასდებით, ცრემლები მოგვლის,
 ველარ ვიკაებთ.
 ნუ, ნულარ ყმუი შენ, რუხო მგელო, ასეთნაირად მწარედ,
 მწუხარედ,
 თუ ის გაყმუვლებს, ხროვას რომ მოსწყდი, დედისერთა ბიჭს
 მიუგდე ყური.
 შავ სამარეში მარტოდ დარჩენა ძნელზე ძნელია, ასე ამბობენ,
 უფრო ძნელია, შენსავ ოჯახში უმეგობროდ და მარტოდ
 რომ რჩები.
 ნუ, ნუ ქვითქვითობთ ასე მწუხარედ, თქვენ, ოფოფებო,
 მინდორ-ჭალებში,
 ასე მწუხარე თქვენი ქვითქვითი მეგობრებსა და ტოლებს
 გვახსენებს.
 ნუ, ნულა გალობთ, შავო შაშვებო, და ჩვენს ფანჯრებთან
 ნულარ ჭახჭახებთ,
 თქვენს გალობაზე ახლობლები და ნათესავეები გაგვახსენდება.
 ნუ დასთამაშებ, ჟღალო პეპელავ, მწვანე მინდორზე
 ფერად ყვავილებს,
 შენი თამაშის შემხედვარენი, ხანდაზმულები ჩუმად ტირიან.
 ნუ დაზუზუნებთ, ნულარ, ფუტკრებო, მწვანე მდელოზე
 ფერად ყვავილებს,
 მაგ თქვენ ზუზუნზე ობლად დარჩენილ ჩვილთა ტირილი
 გაგვახსენდება.
 ნუ ეპარები, ბებერო ვეფხვო, წინანდებურად ტყეში
 სამსხვერპლოს.
 ვაჟკაცს დარჩენილს უშთამომავლოდ ხელი შენსავით
 მოეცარება.
 შენ, შვეარდენო, გაუმაძღარო, ამ სიბერეში რისთვის სუქლები?
 ასე ეკარგვის შნო და ლაზათი, ვაჟკაცს, რომელსაც
 ძე არ ეღირსა.

ფურირბებს ნულარ უხმობ, ქორბუღავ, უკვე

სიბერემოძალებულო,

ასე შენსავით გაწბილებულა მამა უძეოდ გადაგებული.

ნუ, ნულარ ლამობ, ფრთამოტეხილო, ცისფერო მტრედო,

ცაში აფრენას,

ასე უქრება ხოლმე სილაღე მარტოხელა, უძმო ქალიშვილს.

* * *

შენ, ჰოგალი,³ ჰოგალი,

მოგვეც წვიმა, უფალო,

ციდან სწრაფად დაეშვას,

მიწას ნელა შეეხოს.

ჰოგალაი, ჰოგალაი,

ციდან მადლი წამოვიდეს,

ძირს ბარაქად ჩამოვიდეს,

გაავსოს მამის ნალია,

დაზნიქოს დედის ამბარი.

სიმღერა ძვრივის ვაჟიშვილსა

და

ქართველ ჭაბუკაზე

I

ასე ჰყვებიან: მზის ჩასვლისას, შესალამურზე,

სპეტაკ ბეშმეტში და მაულის კოხტა ჩოხაში

ლაზათიანად გამოწყობილ-გამოკვართული,

რუხი ფაფახი, ბეწვიანი და პეწიანი,

თავს რომ ეხურა დარდიმანდულ-მოცერებულად,

ქურანა ცხენით საფიხენოზე გავიდა, წყლისპირს,
 და სოფლის ჯეელთ მიესალმა ვაჟი ქვრივისა:
 – სალამი თქვენდა, გამარჯვება, სოფლის ჭაბუკნო!
 მაღალმა ღმერთმა მშვიდობისა მოგცეთ საღამო!
 – შენც გაგიმარჯოს, ქვრივის ვაჟო, მოხვედ მშვიდობით!
 არამც მოგაკლოს შემოქმედმა თვისი წყალობა! –
 მიუგეს ღირსად თანასოფლეულმა ღირსმა ვაჟებმა.
 მალედევი, იმ ჟამს, ქარბორბალა როგორც ნამქრისა,
 ცხენით მოფრინდა თოისამი ძე უსუპისა,
 წყლისპირს, ფეხონზე შეაჩერა თვისი ქურანი
 და ამ სიტყვებით მიესალმა თანასოფლელებს:
 – სალამი თქვენდა, გამარჯვება სოფლის ჭაბუკნო,
 მაღალმა ღმერთმა მშვიდობისა მოგცეთ საღამო!
 – შენც გამარჯვება, ქვრივის ვაჟო! ოღონდ, ხომ იცი,
 სინორჩის გამო ადვილია ყლორტის მოტეხა,
 შევარდენს კიდეც, ფრთამოტეხილს, ქორიც ერევა!
 ჰოდა, საქმე მაქვს, სათქმელი მაქვს რაღაც ბიჭებთან,
 შენ გაგვეცალე, ქვრივის ვაჟო, განზე მიდექი!
 – შენც გაგიმარჯოს, ჰე, თოისამ უსუპის ძეო!
 მოხვედ მშვიდობით, შენც გამჩენი ღმერთი გფარავდეს!
 სინორჩის გამო, ვიცი, ყლორტი ტყდება ადვილად,
 შევარდენს კიდეც, ფრთამოტეხილს, ქორიც ერევა!
 მიდი ბიჭებთან, რამდენიც გსურს, ელაპარაკე,
 მე ხელს არ გიშლი! – ასე უთხრა ვაჟმა ქვრივისამ
 და შინისაკენ გამობრუნდა დაღონებული.

II

მივიდა სახლში, მიაშურა სასტუმრო ოთახს,
 ჩამოჯდა ხუნძურ სამფეხაზე ვაჟი ქვრივისა,
 სამძალიანი გადმოიღო თვისი ფანდური,
 თლილი თითები ჩამოჰკრა და მიეცა ფიქრებს.

ნაღვლიან მოთქმას, ფანდურისას, თურმე, გარედან
უსმენდა დედა, ითმინა და ვერ მოითმინა,
შევიდა შეილთან და სევდიანს ასე მიმართა:
– შენამც იხარე, ჩემო ბიჭო, ჩემო ობოლო,
გვ რა ნაღვლიან ჰანგზე უკრავ, რამ დაგაღონა?
რა გაგჩენია საფიქრალი, მითხარ შენს მშობელს!
– არ გაგაწბილებ, მოგიყვები, დედი, ჩემს აბბავს,
არ ვარგა იმის უთქმელობა, რაც უნდა ითქვას:
წედან, წყლის პირას, საფიხვნოზე ვიყავ გასული,
იქ უსუპის ძე თოისამიც მოვიდა მალე,
სალამი თქვა და მე პირადად მომმართა ასე:
არ გაწბილდეთ, მოდი, ქვრივის პატარა ბიჭო,
სინორჩის გამო ადვილია ყლორტის მოტეხაც,
შევარდენს კიდევ, ფრთამოტეხილს, ქორიც ერევა!
აქ პატარა რამ საქმე მაქვსო სოფლის ბიჭებთან,
შენ დაგვტოვეო, – ასე მითხრა, – ქვრივის პატარავ!
მე მას სალამი ჩამოვართვი, ვით ადათია,
როგორც ყმაწვილმა მოვითმინე და წამოვედი.
ერთი ქართველი ჭაბუკია სახელგანთქმული,
უნდა წავიდე, ის ჭაბუკი გავიცნო-მეთქი, –
ვიფიქრე გულში, ვიფიცე და ვირისზე ღმერთი.
ჰოდა, რაკილა გადავწყვიტე, ასე იცოდე,
თუ მას არ ვეძმე, ისე მე შინ არ მოვბრუნდები!
სანამ არ ვნახავ, არ გავიცნობ და არ ვეძმობი,
პურს – საჭმელად და წყალს – სასმელად არ გავიკარებ,
ღმერთია მოწმე საშინელი ჩემი ფიცისა!
ახლა მივდივარ და თუ ვინმემ სახლში მიკითხა,
დილითა გკითხონ – სალამოთი მოვა-თქო, უთხარ!
სალამოს გკითხონ – ხვალ დილაზე შინ იქნება-თქო!
ეს თქვა და ქვრივის ვაჟიშვილი გარეთ გავიდა,
ვით დაისის მზემ, ქვეყანას რომ სტოვებს და ჩადის,
ისე დატოვა ქვრივის ვაჟმაც თვისი სოფელი.

— ძალი არ მჭირდა მე შენს გამო და მოსვენება,
 ლაყვამ ვივლილი, ჩემო კობტა, ქურანა ცხენო,
 ა ღლიასთვის გზარდე და შენი ფხაც მიჩვენე ახლა,
 ახლა თქორიე შევარდნულად, შეჭკარ კაძარა,
 ლობიოთ მსტორმა გადასჭერი გზა და მანძილი! —
 თქვა ქერიის ვაჟმა და სადავე მიუშვა ქურანს,
 წყრილი მათრახით გააფიცხა ტანმომცრო ცხენი,
 მზის აბრძანების ფაში იყო, როცა დაიძრა,
 ალაზნის ველზე შესვდა უკვე მზის ჩაბრძანებას.
 კვლავაც იარა. მზეც ჩავიდა, კიდევ იარა,
 მიაჭკჩკდა ქურანა ცხენს ქართველთა ველზე
 და, როგორც იყო, იმ სოფელსაც მიაღგა ბოლოს,
 სადაც ცხოვრობდა ის ჭაბუკი, ვინმე ქართველი.
 სივრძივ გადაჭრა ის სოფელი შმაგი ჭენებით,
 კივილ-ყვირილით, თან ყასიდად, მშველელს უხმობდა.
 რადგანაც გულში, თურმე, ერთი ფიქრი დაესკვნა:
 „თუ ვაჟკაცური ბიჭი არის, როგორც აქებენ,
 თუ მართლა არის ქართველებში სახელგანთქმული,
 მაშინ საშველად ყველაზე წინ გამოვარდება!“
 მართლაც, შეესმა ქართველ ვაჟკაცს ვაჟის კივილი
 და ცოლს მიმართა, ჯერ ერთი თვის ახალ პატარძალს:
 — აგრეც გენაცვლე, ღირსეულო ჩემო მეუღლე,
 მშველელს უხმობენ, კივილის ხმა მესმა გარედან,
 მლდი, გადი და ერთი ნახე, ვინ ითხოვს შველას,
 რომ გავიდე და დავეხმარო გაჭირვებულ კაცს.
 გარეთ გავიდა პატარძალი, მალევე შებრუნდა
 და ეუბნება ქართველ ვაჟკაცს, თავის მეუღლეს:

„ნურას ინალვლებ, ნუ იჯავრებ, ჩემო ლომკაცო, არვის რა უჭირს, გარეთ დიდი არა მომხდარა, შშვიდად იწექი ამ თბილსა და ფაფუკ ლოგინში!“
 თქვა ეს თუ არა ტკბილმა სატრფომ იმ ვაჟკაცისამ, იგი ვაჟკაცი ლოგინიდან ზე წამოიჭრა, ვითარცა ლომი სასიკვდილოდ ტყვიანაკრავი. საუკეთესო ტანსაცმელი ტანზე მოირგო, სულ ნახელავი ჩერქეზთა და ქართველთა ქალთა, გარეთ გაეარდა, უბელო ცხენს მოახტა ხელად, იძრო ხმალი და ვინმე უცხო კაცის საშველად ღამის სიბნელეს შეერია ვაჟი ქართველი.

– გამარჯვებაო, ღამეულო ჩვენო სტუმარო, – უთხრა, როდესაც გზად შემოხვდა იგი ქვრივის ვაჟს, – ვხედავ, თითქოსდა საგანგაშო არაფერია, რემა არავის არ წაუსხამს, აქ სხვა, შენს მეტი, არავინ ჩანს და ვინ ითხოვდა შეელას, ნეტავი?

– შენც გამარჯვება, ჰე, ქართველო, კარგო ჭაბუკო! როგორცა ხედავ, მე არც რემა მომიტაცნია, არცა მდევარი მომღვეს უკან, არც რა მომხდარა, ეს მე ვიყავი მოკივარიც, შეელის მთხოვნელიც! პოდა, ახლა კი, აქეთ მოდექ, ქართველის ნასხლეტო, ჩემს წინ იარე, საჩენოში რომ წაგიყვანო და ქათმის ფასად იქ გაგყიდო, ჩენურ ბაზარზე! – ეს უთხრა ქვრივის ვაჟიშვილმა საშველად მოსულს. უბელო ცხენით, ხელხმლიანი, ვაჟი ქართველი წინ გაიგლო და უკან მიჰყვა ვაჟი ქვრივისა, ქურანა ცხენზე ანამხედრი, ხმალშემართული. ბევრი იარეს, ხმა არც ერთს არ ამოუღია, ბოლოს ქართველმა ყმაწვილკაცმა ეს უთხრა ჩენენს: – ერთი ეს მითხარ, ტაბარუკო ჩენენო ბიჭო,

როგორცა ხელავ, წამოვვარდი ნამბინარევი,
 კაცის საშველად გამოვვარდი, ისევ რულში ვარ
 და ვერას ვხელავ, სადა ვართ ან საით მივდივართ?

– ქართველის ნასხლეტო, ხმა გაკმინდე, მორჩი ყბელობას!
 – კვლავ კადნიერად შეუტია ვაჟმა ქვრივისამ, –
 უნდა გაგყიდო, ხომ გითხარი, ჩეჩნურ ბაზარზე!
 იმ ქართველ ვაჟკაცს მეტად აღარ გაუღია ხმა
 და გზა განაგრძეს, მიდიოდნენ ერთხანს მღუმარედ.
 ცოტა ხნის შემდეგ მეორედაც ჰკითხა ქვრივის ვაჟს,
 სად მივდივართო, და იგივე ესმა პასუხად.
 კვლავაც იარეს მცირე ხანს და კვლავაცა ჰკითხა
 უკვე მესამედ იმ ქართველმა ქვრივის ვაჟიშვილს:

– თავს ნუ იღუპავ, ჩეჩენო ბიჭო,
 მითხარ, გეთაყვა, სად ვიმყოფებით?

– ჰეი, ქართველო ყმაწვილკაცო, თავს თვით იღუპავ,
 ჩვენ ახლა იქ ვართ, სადაც მორჩა შენი სამშობლო,
 აქ უკვე ჩეჩნეთ-საქართველოს საზღვარი გადის!
 ალაპარაკდა მაშინ უკვე ვაჟი ქართველი:

– თავს რატომ ირცხვენ, ჰე, ჩეჩენო ყმაწვილო კაცო,
 რად დაარღვიე, ანდა მე რად დამარღვევინე
 განთქმული წესი ჩვენი სტუმარ-მასპინძლობისა?
 ამ შუალამეს ჩემს სამშობლო საქართველოდან
 ამოდენა გზა, რაც უბრალოდ აქეთ მატარე,
 ღმერთია მოწმე, გაგატარებ ისევ უკანვე!
 აბა, მიბრუნდი და გამიძებ, ჩეჩნის ნასხლეტო! –
 უთხრა ქვრივის ვაჟს ეს სიტყვები ვაჟმა ქართველმა
 და ამწაირად უპასუხა ვაჟმა ქვრივისამ:

– ჰეი, ქართველო ყმაწვილკაცო, მისმინე კარგად,
 ნუ გეგონება, შემამინებ შენი ქაღილით;
 გიაბობ ახლა მე ჩემს აბბავს, ყური დამიგდე,
 ჩემს საღონებელს და გასაჭირს ჩასწვდი ბეჯითად.

არა მყოლია ჯერ ძმობილი, ვინმე სანდობი,
 არცა ღვიძლი ძმა, ღედით, მამით ერთსისხლ-ერთხორცი.
 ჰოდა, ერთხელაც, წყაროს პირას, ჩვენს საფიხვნოზე,
 როს მთის წვერებზე ოქროსფერი იდგა ღაისი,
 როს თავმომწონედ მეც ვიდექი რჩეულ ბიჭებში,
 საფიხვნოს მოდგა თვით თოისამ, ძე უსუპისა
 და შეკრებილებს ღირსეული მისცა სალამი.
 მე კი, რატომღაც, დამცინა და ამითვალწუნა
 უძმობისა თუ, შეიძლება, ასაკის გამოც,
 განზე გადიო, ასე მითხრა კბილში გაცრილად,
 მე აქ ბიჭებთან საქმე მაქვსო სალაპარაკო!
 მე უმცროსობით დავთმე წყენა, მაგრამ მაშინვე
 შენ მომაგონდი, შორს გასულა შენი სახელი,
 სუყველა გაქებს, სადაც შენზე სიტყვა ითქმება:
 ერთგულიაო, პირიანი, შენზე იტყვიან.
 ჩემს თავს აღვუთქვი, მანამ, სანამ შენ არ გნახავდი,
 სანამ მე და შენ მეგობრები არ გავხდებოდით,
 არც წყალი მესვა და არც პურის მეჭამა ლუკმა.
 ახლა მოვსულვარ სამეგობროდ შენს სამყოფელში
 და, ჰა, გიამბე ხვაშიადიც ჩემი გულისა! –
 ასე უთხრა და დაასრულა თვისი სათქმელი
 კარგმა ჭაბუკმა ვაჟმა ქვრივისამ.
 – შენ თუ საძმოდ და სამეგობროდ მოხვედი, მაშინ
 შინ წამომყევი! – ეუბნება ვაჟი ქართველი, –
 მოაბრუნა და ქვრივის ვაჟი შინ წაიყვანა.

IV

თავლაში ცხენებს ჩამოხადეს უნაგირები,
 მისცეს საკვები, დაარწყულეს, მერე თვითონაც
 შევიდნენ სახლში და სასტუმრო ოთახში დასხდნენ.

დასხდნენ ხალვათად, მსწრაფლ მოართვეს მსუქანი ხორცი.
დადგეს არაყი ფერგამჭვირვალე
და ლხინს მიეცა ორი ჭაბუკი.
ქართველი ვაჟი სახელგანთქმული
თავისთვის არაყს ცოტას ისხამდა
და ქვრივის ვაჟს უსხამდა ჭარბად.
დაათრო ბოლოს, მთვრალი ტახტზე წამოაწვინა,
ფეხებზე რკინის ბორკილები დაადო, ხოლო
ხელები მტკიცე აბრეშუმის ბანდით გაუკრა.
დატოვა ასე შეკოჭილი, გავიდა გარეთ
და გენერალთან გაეშურა იგი პირდაპირ.
მიადგა სახლში, დაუძახა მოხუც გენერალს,
გამოიყვანა და აუწყა თვისი სათქმელი:
– ჰე, გენერალო, მოგახსენებ ჯერ გამარჯვებას,
მერე ამბავიც მსურს გაუწყო საგულისყურო.
ახლა, მოხუცო გენერალო, აქეთ მობრძანდი,
ყური დამიგდე, რასაც გეტყვი, კარგად მისმინე:
იმ შენს ოფიცრებს ქალაქგარეთ ვინც არ ასვენებს,
თავადთა სახლ-კარს, იმათ ცოლ-შვილს ვინც აწიოკებს,
მდიდრებისა და კიდევ ბევრის სისხლის მწოველი,
მართლაც წურბელა ანუ თევზი უხელთებელი,
ანუ იგივე ქვრივის ვაჟად სახელდებული,
სახლში მყავს ამ წუთს გაკოჭილი, დატყვევებული.
შვიდი ყოჩალი ოფიცერი გამომაყოლეთ,
წამოიყვანონ ის ტყვე, ოღონდ ჯილდო-პატივად,
მგონი, მერგება, მეც ჩამაცვათ ოფიცრის ფორმა.
მაშინვე ქართველს ოფიცრისა უბოძა ფორმა,
შვიდი ყოჩალი ოფიცერიც გამოატანა
და გაისტუმრა შინისაკენ იმ გენერალმა
ვაჟი ქართველი, რომ ჩეჩენი წამოეყვანათ.
მივიდნენ სახლში და ქართველმა ის ოფიცრები
ვინ – ფანჯარასთან, ვინ კარებთან დააყენა და

თავად საკუთარ სახლში შევიდა.

მივიდა, ფრთხილად შეანჯღრია ტახტზე მძინარი, გამოაღვიდა იმ ქართველმა ვაჟი ქვრივისა.

— კარგად შემხედე, ქვრივის ვაჟო, არა გიკვირს რა?

იმ ხანში, შენ აქ რბილ ლოგინში რომ ნებივრობდი,

აბა, უყურე, მე როგორი ვაჟყაცი დავდექ!

შეხედე-მეთქი: ხომ მიხდება ოფიცრის ფორმა?

ქუდსაც შეხედე, ხომ მიხდება ოფიცრის ქუდი?

ახლა წამოდექ და ფანჯრიდან გადაიხედე,

ფანჯრის წინაც და კარის წინაც თვალი მოაველე,

ხომ არ დგას შვიდი ოფიცერი ურჩეულისი

და თუკი დგანან, ვისი უნდათ, ნეტავ, წაყვანა?

ღიახ, საშენოდ მოვიდნენ აქ, შენს დასაჭერად!

ეს კოხტა ფორმაც ოფიცრისა იმ გენერალმა

მისთვის მაჩუქა, შენი თავი ხელთ რომ ჩაუუგდო.

ახლა რას ფიქრობ, ქვრივის ვაჟო, მითხარ, ამაზე?

— კარგია, კარგი! — ქვრივის ვაჟმა უთხრა პასუხად, —

შენ თუკი გინდა ოფიცრობა, ფორმაც გიხდება!

კმაყოფილი ვარ, თუ ჩემს გამო მოხდა ეგ საქმე,

ლხინში გეცვითოს! ბედნიერად გეტარებინოს!

კვლავაცა ჰკითხა იმ ქართველმა ქვრივის ვაჟიშვილს

და ქვრივის ვაჟმაც კვლავ იგივე პასუხი გასცა.

აი, მაშინ კი, ვნახოთ, რა თქვა ვაჟმა ქართველმა:

— ჰეი, ჩეჩენო ყმაწვილკაცო, აბა შემხედე!

ჩემს შავ თვალებს და ჩემს განიერ მხარ-ბეჭს შეხედე!

მე რა მეტყობა ისეთი, რომ დოსტი გავყილო,

სტუმარი გავცე, მეგობარი ჩინზე გავცვალო

და ამის შემდეგ თავი ისევ კაცი მეგონოს? —

თქვა ეს თუ არა, ის ქართველი გარეთ გავარდა,

გაყარა შვიდივ ოფიცერი თავის ეზოდან,

შემობრუნდა და ეუბნება ასე ქვრივის ვაჟს:

— ეს ოფიცრები ხომ გავყარე, ვერც ჯარისკაცის

ჭაჭანს ვერ ნახავ ჩემს ეზოში, ნუ გეშინია!
ახლა სოფელში მე გამიჩნდა მცირე რამ საქმე,
უნდა გავიდე! შენ აქ დარჩი, როგორც შენს სახლში!
მერე კი ახსნა ხელ-ფეხიდან ბორკილ-ბანდები
და ის ქართველი გაეშურა თავის საქმეზე.

V

ასე ამბობენ: წავიდაო ვაჟი ქართველი,
მიადგა, თურმე, ერთ დიდ თავადს, სიმდიდრით განთქმულს,
ვისაც ჰყოლია ქალიშვილი მზეთუნახავი,
ცნობილი თავის ჭკუითა და გონიერებით.
მარტოდ ესტუმრა, ერთი სიტყვით, იმ კუთხის თავადს,
დაუძახა და გამოიხმო იგი სახლიდან,
მიესალმა და მოახსენა თვისი სათქმელი.
– სალამი შენდა, ჩვენი მხარის ქართველთ თავადო!
დღე მშვიდობისა დაგიბედოს გამჩენმა ღმერთმა!
– შენც სალამი და გამარჯვება, ვაჟო ქართველო!
მოხვედ მშვიდობით! შენც გამჩენი ღმერთი გფარავდეს!
საქმე გაქვს რამე, თუ უბრალოდ შემოგვიარე?
– ჩემთვის არას გთხოვ, არც უსაქმოდ შემომივლია,
და არც სათქმელის არ მჩვევია მიკიბე-მოკიბვა,
ჩეჩენ ვაჟისთვის ვარ მთხოვნელი შენი ქალისა.
თუ ქალს გამატან, ხომ, რა კარგი! წავიყვან, წავალ,
არ გამატან და გავბრუნდები ხელცარიელი.
კეთილშობილი ვაჟისათვის – კეთილშობილი
ქალი ნამდვილი განძია და საჩუქარია.
მენდე, თავადო, არაფერში არ გაწბილდები! –
ამგვარად ჰკადრა ვაჟმა სიტყვა და სათხოვარი.
აღარა უთხრა იმ კარგ ვაჟკაცს ქვეყნის თავადმა,
რადგან იცოდა ხალხში მისი სიტყვა-სახელი,
თან არც უნდოდა გამწვავება ურთიერთობის,
გამოუყვანა ქალის მთხოვნელს ასული თვისი
და გაისტუმრა უსიტყვოდ და ულაპარაკოდ.

სარძლოს მზითევი გამოუწყო მეტად ძვირფასი,
 ჩასვა ლამაზი პატარძალი რბილ ოთხთვალაში,
 გვერდით მიუსვა საქმრო მისი – ვაჟი ქვრივისა,
 სამცხენიანი რბილი ეტლი აავსო მზითვით,
 მეგობრის ცხენიც ზედ მიაბა, მისადავა,
 თავად ამხედრდა ქურან ცხენზე და გვერდით მიჰყვა,
 ჩეჩნეთისაკენ გზას დაადგა ვაჟი ქართველი.
 ქალ-სიძეს, ჩანდა, მოეწონათ ფრიად ერთურთი,
 ისხდნენ თანხმობით, ერთმანეთის ტკბილად შეფრფენით.
 როგორც ღრუბლებში იმალება მზე ოქროსფერი,
 ეტლის სიღრმეში ქალი ისე იყუჩებოდა,
 ეფერებოდა ხელით შუბლზე ნაზად ქვრივის ვაჟს,
 ბრწყინდა მზესავით, მთვარესავით იბადრებოდა,
 შუქელვარებდა თბილისური ვაშლის სადარად
 და სიხარულით შესცქეროდა ქვრივის ვაჟიშვილს.
 რაც შორს გავიდნენ და რაც უფრო გაიმანძილეს,
 ცოლის ხელებში თავჩარგული ვაჟი ქვრივისა,
 ასე ამბობენ, რაღაც მტანჯველ ფიქრებს მიეცა.
 რაკი შეატყო მას გუნების რაღაც ცვალება,
 ქართველი ვაჟი მას მაშინვე შეეხმიანა:
 – შენამც იქნები ბედნიერი, ჩემო გულის ძმავე,
 ვხედავ, უჩემური რამე ფიქრი აგკიდებია!
 გადამიშალე, მითხარ შენი გულის ვარამი
 და მე გიშველი, მე დავადგენ მართალ სამართალს
 ჩემი მაჟარით, ანდა ჩემი ბასრი მახვილით!
 მე შენთანა ვარ და მოწყენა არ გეკადრება,
 მით უმეტეს, რომ ცოლი გიზის გვერდში მზესავით.
 მე ვარ ძმობილი, გულით გენდე, გულით მიგინდე,
 ჰოდა, გამანდე, გენაცვალე, გულის წუხილი!

– ჰეი, ქართველო ყმაწვილკაცო, შენამც იცოცხლე,
 ბედს შენ შემყარე! უსაფუძვლოდ ბრალს ნუკი დამდებ.
 თავმომწონარი ვაჟკაცისთვის ასე ლამაზი,
 მზისა და მთვარის დასადარი, კეთილშობილი
 ქალი საცოლედ საოცნებო საჩუქარია!
 მე რაზეც ვფიქრობ, რაც ამ წუთში გულს მიტრიალებს,
 სულ სხვა რამეა და რაც არის, ახლავე გეტყვი.
 თვალწინ მიდგება მშობლიური ჩემი სოფელი
 და ფიქრში ვხედავ მე ორნაირ, სხვადასხვა სურათს:
 ჩემს ოჯახშია ტირილი და გლოვა-წუხილი,
 ხოლო – ქორწილი თოისამთან, უსუპის ძესთან.
 რაც გსურს, იფიქრე, ჩამომართვი გულჩვილობაშიც,
 აი, ესა მაქვს საწუხარი! – თქვა ქვრივის ვაჟმა.
 – მაშინ წუხილი არას გვარგებს, ვაჟო ქვრივისა, –
 უთხრა ქართველმა ყმაწვილკაცმა იმას პასუხად, –
 იმ შენს სოფელში მე ახლავე გავემგზავრები,
 შენ კი ამ ეტლით ნება-ნება უკან მომყევი.
 ჩამოქვეითდა იგი თავის ბედაურიდან
 და ქვრივის ვაჟის ბედაურზე ამხედრდა ხელად,
 მერე მიუშვა სადავე და სხარტი ქურანით
 მალე მიაღდა ქვრივის ვაჟის სოფლის სანახებს.
 ჯიქურ მიაღდა ის ქართველი დოსტის ეზო-კარს
 და დედამისი იქ იხილა თვალცრემლიანი.
 – მეგობრის დედავ, აგრემც ბედი ნუ მოგიშალოს,
 რატომ ტირიხარ, როცა არ ჩანს მიცვალებული?
 – მშვიდობა აქ შენს მობრძანებას, უცხო სტუმარო,
 ამ ქვეყანაზე რაც კი მოხდა, სულ ჩემთვის მოხდა:
 ჯერ ის იყო, რომ ვაჟი მყავდა და დაიჟინა,
 საქართველოში ყოფილათ ვინმე ქართველი,
 ვაჟკაცი, დიდად სახელგანთქმული,
 თუ არ წავედი, არა ვნახე და არ გავემძე,
 ვერ მოვისვენებ, პურს არ შევჭამ, წყალს არ დავლევეო!
 ღმერთი იფიცა, აღთქმა დადო და გზას დაადგა,

რომ ის ქართველი გაეხადა თავის მეგობრად.
იმ ქართველმა კი უღალატა ჩემს პატარა ბიჭს
და, როგორც მითხრეს, ვერაგულად მოკლა ღალატით.
– რას ამბობ, დედი, შენი ვაჟის ის მეგობარი,
სწორედ ის კაცი, ის ქართველი, მე ვარ, იცოდე.
რაც შენთვის უთქვამთ, ტყუილია, შენს ბიჭს ამ წუთში
შენთვის რძლად მოჰყავს მშვენიერი თავადის ქალი,
მე წინ წამოველ, ის კი ეტლით მოეშურება.
აწ ნულარ ტირი, მხოლოდ მამცნე, თუ სადა ცხოვრობს
ის თოისამი, უსუპის ძე! – უთხრა ქართველმა.
– მექორწილეთა ფრიაბული ხომ გესმის, შვილო,
ეგ თოისამის ოჯახშია ქორწილის სუფრა,
ქალი მომტაცა და ის უზის ახლა პატარძლად, –
უთხრა მეგობრის დედამ ქართველს, ისიც მაშინვე
უკან გაბრუნდა, ცხენიდანაც არ ჩამომხდარა.
წავიდა მართოდ თოისამის იმ დიდ ქორწილში.
მიიღეს, შეხვდნენ: – გვეწვიაო ღირსი სტუმარი!
– ჩამობრძანდიო შენი კოხტა ბედაურიდან,
ჰოი, ქართველო ყმაწვილკაცო, დაგვაფასეო, –
პატივისცემით მიესივნენ ახალ-უხლები.
– ჩამოვალ, თუკი ჩვენნაირი ადათ-წესი გაქვთ,
თუკი არადა, ვერც დავჯდები და ვერც დავრჩები!
ჩვენა გვაქვს წესად პატარძალთან გასაუბრება.
ეს ჩვეულება თუ თქვენცა გაქვთ, თქვენთან მივუღეთ! –
უთხრა ქართველმა ყმაწვილკაცმა თავის მასპინძლებს.
– ეგ ჩვეულება ჩვენცა გვაქვსო, მოდი, დაბრძანდი! –
უთხრეს და ლხინში მიიწვიეს ვაჟი ქართველი.
ახალგაზრდებმა წამოიწყეს ცეკვა-თამაში
და ცოტა ხანში საცეკვაოდ გადაიწვიეს
სტუმრად მოსული ყმაწვილკაცი, ვაჟი ქართველიც.
ჩამოუარა იმ ქართველმა, თურმე, კისკასად,
ხან ძირს ცეკვავდა, ხან სუფრაზე შეფრინდებოდა,
მაგრამ კი ისე, რომ იმ ნავარდში

არ გაატოკა მაგიდაზე ერთი ფიალაც.
ისე გაფიცხდა ის ქართველი ცეკვა-თამაშში,
გაშტერებულმა მეგარმონემ შეწყვიტა დაკვრა
და მედლოლემაც გააჩერა დოლი თავისი,
მექორწილენიც განაცვიფრა ყველა ერთიან.
თავისი ცეკვით რომ მოხიბლა ის ჯამაათი,
პატარძლის ნახვა მოისურვა ქართველმა ვაჟმა.
შევიდა, თურმე, მეგობრის და იჯდა მტირალი,
წარუდგა იგი პატარძალს და ასე მიმართა:
– სეებდნიერიმც ყოფილიყავ, მეგობრის დაო,
მაგრამ მითხარი, რა გატირებს ამ სალხინო ჟამს,
თანაც, რომ ვხედავ, არსადა ჩანს მიცვალებული?
– ძმა აღარა მყავს, დედით, მამით ჩემი სისხლხორცი,
არც მეგობარი არავინ მყავს, გულით რომ ვენდო.
ერთი ძმის მეტი არვინ მყავდა მე, შავი დღისას,
ადგა, წავიდა, გადიხვეწა საქართველოში,
იქ კარგ ჭაბუკთან მინდა, ერთთან, დამეგობრება
და ის ქართველი ყმაწვილკაცი თუკი არ ვნახე,
თუკი არ ვეძმე, უკან აღარ მოვბრუნდებიო,
არც პურს შევჭამ და არც წყალს შევსვამ მის გაცნობამდე,
თუ ეს არა ვქნა, მრისხავდესო გამჩენი ღმერთი!
ასეთი ფიცით გაეშურა საქართველოსკენ,
ხოლო იმ ქართველს ჩემი ძმისთვის უღალატნია,
მოუკლავს ის და რად გიკვირს, რომ ახლა ვტირივარ? –
მორჩა სათქმელს და ამცნო ქართველს დარდი თავისი
ქვრივის ლამაზმა ქალიშვილმა თვალცრემლიანმა.
– თუკი ეგ არის მხოლოდ შენი ცრემლის მიზეზი,
ნულარ იტირებ! – ასე უთხრა ქართველმა ვაჟმა, –
მე ვარ ქართველი ის ჭაბუკი, შენი ძმის დოსტი,
შენს საყვარელ ძმას ცოლად შევრთე თავადის ქალი
და რბილი ეტლით მოგაყენებს მალე პატარძალს.
შენი ძვირფასი ძმის ერთგული მეგობარი ვარ
და ნუ დამალავ, მომიყევი მთელი სიმართლე:

შენ იმ თოისამ უსუპის ძეს შენი სურვილით
 გამოჰყვევი თუ რამე ძალა იხმარა შენზე?
 — მე მომიტაცეს ძმის სახლიდან წასვლისთანავე,
 უძმოს, უმამოს, ობოლ-ობერს რაღა შემეძლო! —
 ქართველ კარგ ჭაბუკს ასე ამცნო ქვრივის ასულმა.
 ადგა ქართველი, გოგო გარეთ გამოიყვანა.
 მექორწილეთა მარაქაში მივიდნენ ისევ.
 უხმეს თოისამ უსუპის ძეს და მოიყვანეს,
 ქართველმა ვაჟმა საყვედურით აავსო იგი:
 — თავს რად ილუპავ, ჰე, თოისამ უსუპის ძეო,
 ხალხი გიცნობდა კარგ ვაჟკაცად, სახელიანად,
 შენ კი, როგორც კი გაიგულე გარეთ ქვრივის ძე,
 მიუვარდი და და მოსტაცე, წამოიყვანე!
 არა გრცხვენია? სახელიან კაცად გიცნობდნენ,
 შენ კი მიხველ და მიემძლავრე უმწეო ობოლს?
 ძალოვანება არა ჰყოფნის ნამდვილ კაცობას,
 ვერც გაიძვერა ვერ იქნება სანდო ვაჟკაცი!
 ნდობით, სიკეთით, მოთმინებით, გონიერებით,
 ჭკუით, ზრდილობით, თავაზით და მსგავსი სიქველით
 ადამიანმა მოიხვეჭოს უნდა სახელი!
 სირცხვილი შენი! ჩაიდინე დიდი შეცდომა,
 რომ უთანხმურად, მიმძლავრებით დაეცი ობოლს,
 მოიტაცე და ძალადობით შინ მოიყვანე
 შენ, ამ სოფლელმა, მეზობელმა და მეგობარმა!
 ამ სიმუხთლისთვის გადაგიხდის სამაგიეროს
 ის, ვის სიტყვასაც ამ წუთში ისმენ!
 აბა, ახლა კი დროა, შენს ძმებს დაემშვიდობო! —
 ასე უთხრაო, გვიამბობენ, თურმე ქართველმა,
 იძროო, მერე მყის თავისი ბასრი მახვილი
 და ძირს გაგორდა ხელად თავი თოისამისა.
 ამოიყენა მეგობრის და, თურმე, ზურგს უკან,
 და იმ ქართველმა გარეთ ისე გამოიყვანა.
 — ვერ წაგვიხვალო გადაუხდელად, ქართველის ნასხლეტო! —

თქვეს და დაედვნენ, თურმე, ძმები თოისამისა.
– თავს ნუ ილუპავთ, თოისამის სახლიკაცებო,
ეგ ერთი ლეში დღეს გეყოფათ დასამარხავად!
ნულარ მიჰქარავთ, ის გეყოფათ, რაც რომ მიჰქარეთ,
ვინ გაპატიებთ ქერივ-ობოლთა შევიწროებას! –
ეს თქვა ქართველმა ყმაწვილკაცმა და თოისამის
სახლიკაცები დატევივით უკან მიჰყარა.
დასვა ქორწილში შეკრებილნი სამგლოვიაროდ,
სახლს დაუბრუნა მეგობრის და, მოტაცებული,
განრისხებულმა იმ ქართველმა კარგმა ჭაბუკმა.


VII

ძმობილის სახლში, თურმე, დიდი ღზინი გამართა,
თვითონ წავიდა, ქერივის ვაჟს რომ გზად დახვედროდა.
– ბედნიერი გყოს, გულითაღო ჩემო ძმობილო,
შენ რომ გდაღავდა ორნაირი ფიქრი მდაღველი,
ერთიც არ ახდა, რისი ჭმუნვა, რა მწუხარება!
რძალი მოგედისო! შენს ოჯახში ახლა ღზინია.
ის ძმები კიდევ სახელგანთქმულ თოისამისა
წაჰკიდებიან თურმე ერთურთს და დალუპულან! –
ასე ამცნო, გვიამბობენ, ვაჟმა ქართველმა
მისი ოჯახის ვითარება ქერივის ვაჟიშვილს.
მივიდნენ სახლში, გააჩაღეს ქორწილი, თურმე,
სამ დღე და ღამეს სუფრა ჰქონდათ აუღებელი,
ამის შემდეგაც, გადმოგვცემენ, მათი ცხოვრება
გაგრძელდა ისევ ნდობით, ძმობით, შეხმატკბილებით.
ვით ადათია, სტუმარსა სცეს დიდი პატივი
და პატივითვე გააცილეს საქართველოსკენ.

ნუმც დავხოცილვართ ერთმანეთის უნდობლად, ძმებო,
ნუმც დავხოცილვართ ერთმანეთის უსიყვარულოდ!



361131



ფპარმატი⁴

ღმერთმა ხელი მოგიმართოს, დიდხანს გაცოცხლოს, ავი გამო-
როს, სიკეთე მოგცეს! სათქმელ-საამბობი ბევრი მაქვს შენთვის. ერთი
ზღაპარი უნდა გითხრა, ერთი საოცრება მოგიყვე, შელის ყურები
დაცქვიტე, მგლის თვალები ფართოდ გაახილე!

გიაბობ, აგე, იმ ბაშლამის⁵ თავზე თოვლი როდიდან დევს,
თვალუწვდენელ ველებსა და მთათა კალთებს სურნელოვანი ბალახი
და ნაირ-ნაირი ყვავილები როდის აქეთ ფარავს...

ძველად უხსოვარ დროში, აგერ, მაღალ მთებს რომ ხედავ,
ეგენი უფრო მაღლები ყოფილან. მწვერვალებზე, როგორც ახლა,
თოვლი და ყინული კი არა, ლამაზი ბალახი და ყვავილი ხარობდა.
ძველ დროში მარადი თოვლ-ყინული ღრმა ხეობებში, მთათა კალთე-
ბზე და ტრიალ ველებზე იდო.

იმ დროში ჩვენს წინაპრებს — ნართ-ერსთხოელებს⁶ ხეობებში,
გამოქვაბულებში, მაღალ კოშკებში უცხოვრიათ. მაღლები ყოფილან,
როგორც, აგერ, ის მთებია. ბედაურებიც გოლიათები ჰყოლიათ. დათვე-
ბივით ღონიერებიც ყოფილან ნართ-ერსთხოელები, მგლებივით გუ-
ლადები, ვეფხებივით მოქნილები და მეღიებივით ცბიერები.

ხელით იოლად ფშენიდნენ კლდის ლოდებს და შორს ისროდ-
ნენ, იმათი ყვირილი მთებს, ძახილი კი ცას აზანზარებდა და, მაინც,
უძღუნნი ყოფილან — ცეცხლი არ ჰქონიათ.

ღონიერი სიელა⁷ სასტიკი და შეუბრალებელი ყოფილა. ის ცის
მეუფე იყო და ცეცხლიც მას ჰქონდა.

რის მაქნისია ძალა, თუ ხალხს არ გამოადგება?

რის მაქნისია ღონე, თუ იგი ხალხს რისხვად მოეკლინება?

ნართ-ერსთხოელებისათვის თავისი ძალ-ღონის საჩვენებლად
სიელა მაშხალაზე შემოჯდებოდა და საზარელ ღრიალს მორთავდა
ხოლმე, ცაზე ისეთ ხმაურს ატეხდა, გეგონებოდა, ნამსხვრევებად
ქცეული ცა, საცაა ჩამოიქცევას. მისი სამყოფელი ცაზე მუდმივად

შავ ღრუბლებში იყო გახვეული. სიელა ღრუბლებს წვიმით გაავსებდა და ხმელეთისაკენ დაუშვებდა, წვიმას მოყოლილი სეტყვითა და ხოშკაკალით კი უფრო დიდ უბედურებას დაატეხდა ხოლმე ადამიანებს. ხშირად სინათლისა და ცეცხლისაგან ნაკეთებ ცისარტყელას ხელში აიღებდა, ძირს მიწას ესროდა და გარშემო ყველაფერს გადაუგავდა ხოლმე.

ავიცა და კარგიც სიელას ხელში იყო. ავზე ხელგაშლილი იყო სიელა, კარგზე — ხელმოჭერილი.

სიკეთე დიდი ტანჯვის ფასად ეძლეოდათ ადამიანებს, ხოლო ბოროტებას უხვად არიგებდა სიელა.

ცასა და მიწას შორის მუდმივი შუღლი იყო!

სიელასა და ადამიანებს შორის ნიადაგ ქიშპობა იყო! რაც უფრო დიდი ტანჯვა-წამება დაატყდებოდათ ნართ-ერსთხოელებს, მით უფრო ნეტარებდა სიელა, რაც უფრო ნეტარებდა სიელა, მით უფრო მეტ კაემანს ეძლეოდა სათა. სათას ძალიან უნდოდა, ნართ-ერსთხოელებს დახმარებოდა, მაგრამ სიელას შიში ჰქონდა.

იმ დროს მთაში ცხოვრობდა ლომკაცი ნართი ფჰარმათი. ის თავის სამჭედლოში მუშაობდა და ხალხს ემსახურებოდა. მარჯვე ოსტატი ყოფილა.

თავაზიანი, ხელგაშლილი, ღონიერი ნართი ცოტას ლაპარაკობდა და ძალიან ბევრს მუშაობდა. იგი ბევრს ფიქრობდა, ჭირი როგორ შეემსუბუქებინა ადამიანებისათვის. იმის განსჯაში იყო, როგორ წაერთმია სიელასათვის ცეცხლი და მიეტანა ხალხისათვის. ხვეწნა-მუდარა სიელასთან არ ჭრიდა.

ქვეყნად თავისი გაჩენის დღიდან ხალხში გაბნეულ ცოდნასა და სიბრძნეს ეწაფებოდა ფჰარმათი.

მისი ბელაური თურფალი იალაღებზე მუდამ თავისუფლად დანავარდობდა.

ნართები ეტყოდნენ ხოლმე ფჰარმათს:

— ბელაური მხედრის ხელში უნდა გამოიწვრთნას, ვაჟკაცი — ბრძოლაში. რატომ დადის შენი ბელაური თავისუფლად?

ფჰარმათი პასუხობდა:

— ჩემი ბელაური გაწვრთნილია, დრო მოვა და იგი ციდან ცეცხლს ჩამოიტანსო.

ერთ დღეს ფჰარმათმა თავისი თურფალი⁸ იხმო. მისმა ხმამ არღუნის⁹ ხეობა ააგუგუნა, მთები შეაზანზარა, მძინარე სიელა გამოადვიდა და გვერდი აცვლევინა. ბედაურს, შორეულ მთაზე რომ ძოვდა, ესმა პატრონის ხმა და ჭიხვინით უპასუხა. ელვასავით გაფრინდა თურფალი თავის პატრონთან. ფჰარმათმა ჯაჭვის პერანგი ჩაიცვა, წელთ ხმალ-კაპარჭი შემოირტყა, მხარიღლივ მშვილდი გადაიკიდა, ხელთ ფარი გადაიკვა – ღობისტყავისა, მოიხელსადავა თავხვედა კომბალი და წვეტიანი შუბი.

ამის შემდეგ ფჰარმათმა თავის თურფალს უნაგირი დაადგა, ლუდით სავსე ჯიხვის ყანწი გადაჰკრა, როგორც ფეხი ცხელ ფისსა და ხელი სველ ცომსა, ისე დაგვეროდე უნაგირსაო, ესა თქვა, ბედაურს მოახტა და იმ გზას დაადგა, რომელზედაც ჯერ არავის გაველო, ანუ თუ გაველო, უკან ვეღარ მობრუნებულყო. ნართერსთხოვლებმა ფჰარმათის კვალზე ფეტი მოაბნიეს – მშვიდობიანი გზამცა ჰქონდესო, ქერით სავსე თასი დადგეს: იქითობას მსუბუქი და ლალი, აქეთობას ბარაქიანი გზა ჰქონდესო!

ბევრი იარა ფჰარმათმა. შვიდი დღისა და შვიდი ღამის სავალი გზა გაიარა. შვიდი ხეობა და შვიდი მთა გადალახა. ბოლოს ბაშლამის ძირს მიაღვა. ბაშლამს თავით ეჭირა ცა, რომელზედაც სიელა ცხოვრობდა. ციცაბო, მეტად საშიში და ძნელი აღმართები აიარა ფჰარმათმა. ბაშლამის წვერი კი ძალზე სურნელოვანი ბალახებითა და ფერად-ფერადი ყვავილებით იყო მოფენილი.

იმ ჟამს ბაშლამის წვერზე დასასვენებლად ეშვებოდა თურმე მზის სხივოსანი სათა.

იგი თეთრ ფრინველად იქცა, შეეგება ფჰარმათს და ადამიანის ენაზე უთხრა:

– ჰეი, ღონიერო ნართო! შენ ტყუილუბრალოდ არ მოხვიდოდი ბაშლამის წვერზეო.

– მართალია, კეთილო ფრინველო, მე გასართობად არ ამოვსულვარ ბაშლამის წვერზე, ცის კერიდან ხალხს ცეცხლის მუგუზალი უნდა წაუელო, ამისთვის მოვსულვარ. უიმისოდ უკან არ გავბრუნდებიო, – უპასუხა თურმე ფჰარმათმა.

– კეთილი საქმისათვის გამოსულს კეთილი გზა რომ არ ჰქონდეს, არ შეიძლება, მე დაგეხმარებიო, – უთქვამს სიელა-სათას.

და შემდეგ ჰკითხა:

— ბელაური კარგი გყავსო?

— ქარზე უსწრაფესიაო, — უპასუხა ფჰარმათმა.

— ღონიერიაო?

— ჩემი ბელაურის ნაფლოქვარზე წყალი მაშინვე ამოდგაფუნდუ-

ბაო.

— თავად თუ ხარ ღონიერიო?

— ჩემს ხელში მაგარი ბრინჯაო ფისზე და ცვილზე რბილი ხდებოა, — მიუგო ფჰარმათმა.

სიელა-სათამ დაარიგა ფჰარმათი, რა გზით მოხვედრილიყო სიელას კერასთან და როგორ ჩაეგდო ხელში ანთებული მუგუზალი.

— ახლა სიელა დაძინებული იქნება. ეგ ქარივით სწრაფი ბელაური გააჭენე და სიელას კერაზე გადააფრინე. ცეცხლს რომ წაადგები, დასწვდი და ცეცხლმოკიდებულ მუგუზალს ხელი დასტაცე, შემდეგ კი ბაშლამის მიმართულებით გაქუსლე. სიელას თუ გაეღვიძა, ცოცხალს არც შენ გაგიშვებს და არც შენს ცხენს. მაშინ ვერც ხმელეთზე წაიღებ მუგუზალს.

როგორც სათამ დაარიგა, ისე მოიქცა ფჰარმათი.

ჭენებით გადაუფრინა ბელაურმა სიელას კერას. დაინახა ფჰარმათი, მუგუზალს დასტაცა ხელი და ბაშლამის წვერისაკენ მიუშვა ბელაური.

სწრაფად მიჰქროდა ბელაური, მუგუზლიდან ასხლეტილმა ნაპერწკლებმა ღიდი კული გაჭიმეს ფჰარმათის უკან. ნაპერწკალი ცხვირში ჩაეყარა სიელას და გამოაღვიძა. დაინახა, როგორ მიჰქონდა მამაც ნართს მისი კერიდან მუგუზალი. იცოდა სიელამ, ცეცხლს ხელში თუ ჩაიგდებდა, ადამიანს ძალა მიეცემოდა, შიშს დაჰკარგავდა, შემდეგ კი თვით მის წინააღმდეგ აღსდებოდა.

ღიდ ძალას იგდებდა ადამიანი ხელში. შეშინდა ძლიერი სიელა. ბევრი მღვეარე დაადევნა მამაც ნართს. გახსნა სიელამ გულა, შიგ რომ შავი ღამე ჰყავდა გამომწყვდეული. ისე ჩამობნელდა, ფჰარმათი საკუთარი ხელის თითებს ვერ ხედავდა. გზას ვეღარ იკვლევდნენ ფჰარმათი და მისი ბელაური. კლდიდან გადავარდნა და დაღუპვა ემუქრებოდათ, მაგრამ გზას უკვლევდა ლამაზი ფრინველი სიელასათა მშვენიერი სიმღერით.

შავმა ღამემ ვერ შეძლო ნართისა და მისი ბედაურის შეჩერება. მაშინ სიელამ გახსნა ქარიშხლით სავსე გუდა. ქარიშხალი დაადევნა ფჰარმათს. შავი ღამე და გრიგალი დაეძგერა ფჰარმათსა და მის ბედაურს. მაშინაც ლამაზმა ფრინველმა – სიელა-სათამ თავისი ფრთებით ქარიშხლისაგან დაიფარა ისინი და სიმღერით გზა გაუკვალა.

ფჰარმათმა დაინახა, როგორ აქრობდა გრიგალი მის ხელში მოგუზგუზე მუგუზხალს. უცეცხლოდ მიწაზე დაშვება არ ეგებოდა, ამიტომ უბეში შეინახა იგი. მამაცი ნართის გარშემო მომაკვდინებლად როკავდა მრისხანე ქარიშხალი, კუნაპეტმა ღამემ დააბრმავა, უბეში დამალულმა მუგუზხალმა მკერდი დაუწვა. ძლიერი რყევისაგან არღუნის წყალი კალაპოტიდან ამოვარდნილიყო, ხოლო ძირფესვიანად მოთხრილი მუხის ხეები ბალახის ღეროებივით ჰაერში დაფარფატებდნენ.

მიხვდა სიელა, რომ არც შავ ღამეს, არც ძლიერ ქარიშხალს ძალა არ ჰყოფნიდა ნართისა და მისი ბედაურის შესაჩერებლად. ცის მღვევარს ნართი უვნებლად უსხლტებოდა ხელიდან.

მაშინ გახსნა სიელამ მესამე გუდა, რომელშიც ყინვა-სიცივე ჰქონდა.

ძლიერმა ყინვამ მათათა სალი კლდეები დახეთქა და მთები შეკუმშა, ფჰარმათი კი თავისი ბედაურით მაინც წინ მიიწევდა.

ძალზე შეშინდა სიელა. მან დაინახა, როგორ უახლოვდებოდა მამაცი ნართი ბაშლამს. საცაა სამშვიდობოზე გავიღოდა. გამწარებულმა აიღო თავისი ცეცხლოვანი ცისარტყელა და ნართს მუხი დაუშინა.

დაშენილმა მუხმა მთები შეაზანზარა, გაყინული მიწიდან წყლებმა ამოხეთქეს. არგუნის ტალღები დამფრთხალ ცხერის ფარასავით მოედვნენ მთის კალთებს, მათათა უშველბეელი კლდეები სულოდგ-მულეებივით ირწეოდნენ.

მაგარმა ყინვამ, ძლიერმა ქარიშხალმა, ბნელმა ღამემ და მუნთატეხამ ვერ გააჩერეს ნართი ფჰარმათი. მალე მიაღდა იმ გამოქვაბულს, სადაც ნართები ელოდებოდნენ.

– აჰა! აი, ეს არის ცეცხლი! – უთხრა მან გაოცებულ ნართებს.

– ყოველ კოშკში, ყოველ ეხში, ყოველ სიმაგრეში დაანთეთ ცეცხლი! ავარდეს დიდი ალი! ცეცხლი ყოველ სამყოფელში უნდა იყოს! იყოს სითბო! იყოს სინათლე! ცეცხლი არ ჩაქრეს არასოდეს!

თავისუფლებას გისურვებთ!

სწორედ ამ დროს დიდი ხმაური ატყდა, სიელა იბრძოდა... ცა მიწას მუდმივ მტრობას უცხადებდა. ადამიანი კი სიელას მუდმივ ბრძოლაში იწვევდა. სიელა მრისხანებდა!

— გაგიმარჯოთ! თქვენს მაგიერ სიელასგან მოვლინებულ სატანჯველში მე უნდა ჩავდგე! ბედნიერებას გისურვებთ! ჩემზე ნუ იღარდებთ!

მამაცი ნართი ფჰარმათი მეხის, ყინვის, ქარიშხლისა და შავი ღამის დასახვედრად წავიდა ბაშლამზე. ნართს თავზე მეხი გადასდო, გადმოსდო, ქარიშხალი არყევდა, ყინვამ ხელ-ფეხი დაუზრო. განრისხებული სიელა არ ეშვებოდა მას.

ბაშლამზე, ცის ტატნობზე, მისკენ მიმავალი მამაცი ნართი რომ დაინახა, სიელამ დაიწყო ქარიშხლის, სიცივისა და ღამის ნელ-ნელა ჩალაგება გულებში. ველებიდან, ხეებიდან თუ მთათა კალთებიდან ფჰარმათის კვალდაკვალ, თანდათან ბაშლამის თხემზე აიკრიფა, იქ დაისადგურა თოვლმა და ყინვამ.

სიელამ დაიძახა:

— შენ მიერ ციდან მოტაცებული ცეცხლის ნატრულიმც გახდე! სითბოს ნატრულიმც გახდეო!

თავისი ერთგული მსახური ცალთვალა უჟა გაგზავნა სიელამ რკინის ჯაჭვებით ფჰარმათთან. იმ ჯაჭვებით ბაშლამის წვერზე მიაბა უჟამ ფჰარმათი.

ფჰარმათის საწამებლად სიელას მოხმობილმა სიცივემ, ყინვამ და თოვლმა ბაშლამის თავი გაყინა და შებოჭა.

ფჰარმათის მოტანილმა ცეცხლმა მთელი ქვეყანა გაათბო, ველები, მთათა კალთები, ღრმა ხეობები ხშირმა სურნელოვანმა ბალახებმა, ფერად-ფერადმა ყვავილებმა დაფარეს.

ყოველ დილას მიჯაჭვულ ფჰარმათთან მიფრინავს ფრინველთა მეფე ილა, ფჰარმათს მუხლებზე დააჯდება და ყოველთვის ერთსა და იმავეს ეუბნება:

— ჰოი, უბედურო ფჰარმათ! ჰოი, ცოდვიანო ფჰარმათ! არ ნანობ შენს საქციელს? თუ ნანობ, აღარ შეგაწუხებ, თუ არა, ღვიძლს ამოგკორტნი!

ფჰარმათი საშინელ წამებას არად აგდებს და ყოველთვის ერთ-

სა და იმავეს პასუხობს:

— არა, არ ვნანობ! მე ადამიანებს ბედნიერება მიუტანე, სითბო და სინათლე ვაჩუქე! კარგი საქმე გაკეთდა და ამის გამო სინანული არ შეიძლება!

მაშინ ფრინველთა მეფე იდა ფოლადის ნისკარტს კაჟის ქვაზე ალესავს და ფჰარმათის ღვიძლის კორტნას შეუდგება ხოლმე.

ფჰარმათს ერთი კვნესაც არ აღმოხდება. იმის თვალეში ცრემლი არასოდეს დაისადგურებს, დიდ ტანჯვა-წამებას ქედუხრელად უძლებს.

იმ დროიდან ნართ-ერსთხოელმა ვაჟკაცმა ტირილი არ იცის. იმ დროიდან მათათა მწვერვალებზე მუდმივად ღვეს თოვლი და ყინული, რომელიც არასოდეს დნება, ქრის ქარიშხალი. ბაშლამის წვერზე ფჰარმათის მიჯაჭვის შემდეგ მის საწამებლად სიელამ თოვლს, ყინულს, ქარს იქ მოუყარა თავი, ფჰარმათი სულ სითბოსა და ცეცხლის ნატვრაში რომ იყოს.

სწორედ იმ დროიდანაა ტრიალ ველებზე, ღრმა ხეობებში, მათათა კალთებზე სურნელოვანი ბალახები, ფერად-ფერადი ყვავილები. იმ დროიდანაა მიწაზე სითბო, ბარაქა, სინათლე. ის სითბო ადამიანებს ფჰარმათმა აჩუქა! ფჰარმათი კი ბაშლამის წვერზეა მიჯაჭვული. იგი მუდმივად იტანჯება, მაგრამ ის უკვდავია. გმირი არ კვდება. გმირი საუკუნოდ ცოცხლობს!

ორეული

აქეთ-იქით დაეხეტებოდა თურმე ორეული. ვერავისთან ეპოვა თავშესაფარი. ძროხასთან მივიდა, იმან კულის ქნევით გააგლო, კურღელთან მივიდა, იმან ყურები დაუქნია. ცხენთან მივიდა, ცხენი კბილებით ეცა და გააგლო. ქათამმა კი ფრთების ცემით დააფრთხო.

ვიღაც კაცი წამოწოლილიყო, „ნეტავ, როგორ მიმიღებსო?“ — თქვა ორეულმა და იმასთან მიცუნცულდა. წამოდგომისთანავე კაცმა ხელი გადაუსვა ორეულს. „მე იქ მირჩვენია, სადაც თავზე ხელს მისვამენო“, — თქვა და მას აქეთ კაცს არ მოშორებია, ღლესაც მასთან ერთად დაიარება ორეული.

ნადირთა მფარველები

უწინ თურმე დედის მუცლიდანვე იტაცებდნენ ბავშვებს. თუ მოტაცებულ ბავშვს ხმელ ხეზე დასვამდნენ, დედას მეტი შვილი არ ეძლეოდა. თუ ნელს ხეზე დასვამდნენ, სხვა შვილებიც ჩნდებოდნენ თურმე. ბავშვებს იტაცებდნენ გაჩენამდე ერთი-ორი დღით ადრე.

ამბობენ, დედის მუცლიდან ამგვარად მოტაცებული ბავშვებისაგან ნადირთა მფარველები ჩნდებიანო. ამბობენ, რომ მათ ფოლადის მკერდი აქვთ და ძალიან ღონიერი, ვეება ტანის, გოლიათი ადამიანები არიან. თუ მონადირემ სამოცდასამი ნადირი მოკლა და თოფის კონდახი არ დაწვა, ნადირთა მფარველები თავიანთი ფოლადის მკერდით ორ ნაწილად აპობენ მონადირეს.

ნადირთა მფარველები ხარის ხორციით ახლაც კვებავენ ბაშლამის მწვერვალზე მცხოვრებ ჰურ-ამის ქალწულებს. მწვერვალზე ნადირთა ძვლების კალოებია, ისინი რომ ქალწულებს აჭმევდნენო.

როგორც ამბობენ, უწინ ხევის კლდის გამოქვაბულში მცხოვრები ქალწულები სოლსა სოსქას ძეს გაერიდნენ და ბაშლამის მწვერვალზე დასახლდნენ.

ნადირთა მფხმესი

ერთმა სანადიროდ წასულმა კაცმა მოკლული ნადირის ყურზე სერი შენიშნა. ის უზომოდ ბევრ ნადირს ხოცავდა თურმე, როცა ხალხი იტყოდა, ნადირს პატრონი ჰყავსო, არ იჯერებდა და ამის მთქმელს დასცინოდა.

ერთხელ, როცა ისევ სანადიროდ იყო წასული, თავისი ნაბადი ნელლი წიფლის დიდ კუნძზე გადაფინა და ნადირს ჩაუსაფრდა. უცებ დაინახა, ნადირთა პატრონმა მკერდით ორად როგორ გააპო ნაბად-გადაფარებული კუნძი. ნადირთა პატრონი მიხვდა, რომ ის კუნძი იყო და არა ადამიანი. კაცმა კუნძს დახვდა და შინ წავიდა.

როცა შინ მივიდა, თავისი თოფის კონდახი ცეცხლში დაწვა და მეტად სანადიროდ აღარ წასულა.

თურს!

ნადირთა პატრონები ჟამი-ჟამ ნადირს თავს უყრიან ხოლმე.
— თურს! — ამ შედახილით უხმობენ მათ.

ამბობენ, ისინი დათვლიან ხოლმე ნადირთ და მათ შორის დაძაბუნებულსა და დავრდომილს უკლიან.

ნადირთა ასეთი პატრონები ახლაც ცხოვრობენ თურმე ტყეებში.

მგელი

ძალიან დიდი ხნის წინათ, უხსოვარ დროში, ქვეყანაზე საშინელი ქარიშხალი ამოვარდა. ქარიშხალმა ძირფესვიანად მოთხარა ხეები, ზღვა-მდინარეებიდან წყალი ხმელეთზე გადმოინთხა, მთები ჩამოიქცნენ და დიდი უბედურება დატრიალდა.

ყველა სულდგმული თავგზააბნეული დარბოდა აქეთ-იქით — თავს ვუშველოთო. ერთადერთი მგელი არ შეუშინდა გრიგალს, დაჯდა და უშიშრად დაუპირისპირდა.

გრიგალმა ტყავი შემოაფლითა, დაასისხლიანა, მაგრამ ადგილიდან ძვრა ვერ უყო ძარღვმაგარ მგელს.

ქარიშხალი ჩადგა, მზე გამობრწყინდა, ვითომ არაფერიც არ მომხდარიყოს, სიმშვიდემ დაისადგურა დედამიწაზე.

ცხოველებმა ისევ ერთად მოიყარეს თავი, მივიდნენ მგელთან და უთხრეს:

— მგელო, ქარი რომ ხეებს გლეჯდა, ხმელეთი რომ წყალმა დაფარა, მთები რომ ჩამოიქცა და ყველა თავშესაფარს ეძებდა, შენ ადგილიდან არ დაძრულხარო.

მგელს სისხლი სწვეთდა სხეულიდან, თვალები სივრცისთვის გაუშტერებინა, ამაყად მჯდარმა მიუგო მათ:

— მიწა, რომელზედაც დავიარები, ჩემი სამშობლოა, რა უბედურებაც არ უნდა დამატყდეს თავს, სამშობლოს იქით წასასვლელი ქვეყნიერებაზე არსად არა მაქვსო.

ნათქვამმა ჩააფიქრა ცხოველები, სირცხვილმა შეიპყრო და უხმოდ გასწიეს ბუნაგებისაკენ.

დარჩა მგელი იქვე, თავისი დასახიჩრებული, დაფლეთილი სხეულით, მიმავლებს თვალი გააყოლა.

მგელს სხვა სამშობლო არ ჰქონდა...

სამი ძმა და გველეშაპი

მამა შვილს ცუდს არას ურჩევს:

ერთ კაცს სამი ვაჟიშვილი ჰყავდა. მამამ სიკვდილის წინ ასე დაარია თავისი ვაჟები.

– ამ ჩემი ქვეყნიდან სამი გზა გადის. იმ სამიდან ძველ გზაზე არ იაროთო.

დრო რომ გავიდა, ერთხელ, მამის სიკვდილის შემდეგ, უფროსი ძმა ძველ გზას მიადგა. იფიქრა, მოდი, წავალ და ვნახავ ამ გზაზე რა არისო და გასწია. ვაჟს წინ გველეშაპი შეხვდა და ჰკითხა:

– საით გაგიწევია, ბიჭო?

– არსად არ მივდივარ, მამაჩემმა სიკვდილის წინ ანდერძი დატოვა. ამ გზაზე არ გაიაროო. საცდელად წამოვედი! – თქვა ვაჟმა.

– მამის ნათქვამი არ დაიჯერე და წამოხვედი? მე შენ გიჩვენებ სეირს! სიმღერაში თუ ვერ მაჯობებ, ვაი შენს ღღეს! იცი სიმღერა? – ჰკითხა გველეშაპმა.

ბიჭმა უთხრა, არ ვიცი სიმღერაო და – გადაყლაპა ის ბიჭი გველეშაპმა.

მაშინ მეორე ძმა წავიდა იმ ძველ გზაზე, ერთი ვნახო, რა გზაა ასეთიო.

იმასაც ჰკითხა გველეშაპმა, სიმღერა იციო?

– არ ვიციო, – ბიჭმა – და ისიც გადაყლაპა ურჩხულმა.

მშებმა შინ მისვლა რომ დააგვიანეს, მესამე, ყველაზე უმცროსი წავიდა მათ მოსაძებნად.

